

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

გივი იოსელიანი

ბიზნეს რეგისტრი და მისი როლი ეკონომიკური სტატისტიკის
წარმოებაში

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური განვითარებისა და გლობალიზაციის პირობებში სტატისტიკას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. მზარდია მოთხოვნა სტატისტიკურ ინფორმაციაზე, შესაბამისად, ბიზნეს რეგისტრს განსაკუთრებული როლი ენიჭება ინფორმაციის დამუშავებაში, არსებული მაჩვენებლების სრულყოფასა და სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრს ძალიან დიდი როლი აქვს ქვეყნის სტატისტიკის წარმოებაში, საქართველოში მწირია ინფორმაცია, კვლევები თუ ნაშრომები მის შესახებ. შესაბამისად, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამაგისტრო ნაშრომის თემად აღების სწორედ ეს იყო, რათა რეალურად წარმოვაჩინოთ თუ რა დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს ბიზნეს რეგისტრის არსებობასა და ფუნქციონირებას.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოში სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის წარმოების სფეროში არსებული მდგომარეობის განხილვა, მისი შესადაარისობა საერთაშორისო სტანდარტებთან თუ სხვა ქვეყანებში არსებულ სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრთან, არსებული ნაკლოვანებებისა თუ ხარვეზების აღმოჩენა. მთავარი ამოცანა არსებული პრობლემების ანალიზი და მისი სრულყოფის გზების განსაზღვრაა.

სამაგისტრო ნაშრომის უშუალო ობიექტის წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი, ხოლო საგანს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრის შემადგენლობის, როლის, ფუნქციონირების შესწავლა.

Annotation

Statistics has a significant role in current economic development and globalization. The demand on statistical information is increased due business registry, which has a special role in processing information, improving current indicators and developing statistical data.

Besides great role of statistical business registry in the country's statistics, there is lack of information about it. There is quite few researches or articles about it. Accordingly, one of the main reason for taking this issue for master's thesis is to underline and demonstrate the purpose, significance and function of the business registry.

The object of this master's thesis is to review statistical business registry and compare it with international standards and statistical business registers of other countries, discover the pros and cons. The main task is to analyze existing problems and determine the ways to improve.

The direct object of the master's thesis is the statistical business register of Georgia, and the subject is to studying the role, function and structure of its.

შინაარსი

შესავალი

თავი 1. ბიზნეს რეგისტრის როლი ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაში

- 1.1 ბიზნეს რეგისტრის დანიშნულება და მისი ძირითადი მახასიათებლები
- 1.2 ბიზნეს რეგისტრის წყაროები, აქტუალიზება და ხარისხის პოლიტიკა
- 1.3 სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის შექმნის ისტორია საქართველოსა და დანიაში

თავი 2. მონაცემთა ბაზების სტრუქტურა ბიზნეს რეგისტრში

- 2.1 ბიზნეს რეგისტრის მთავარი ცხრილის(BR-Main) მახასიათებლები
- 2.2 ბიზნეს რეგისტრის კლასიფიკატორები
- 2.3 ბიზნეს რეგისტრში გამოყენებული ძირითადი ცნებები და განმარტებები
- 2.4 ევრო SDMX მეტამონაცემების სტრუქტურა/ (ESMS) ბიზნეს დემოგრაფია

თავი 3. საქართველოს ბიზნეს რეგისტრის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი

- 3.1 საწარმოთა დეკლარირებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი 2012-2018 წლებში
- 3.2 საწარმოთა დაბადებისა და გარდაცვალების მაჩვენებლების ანალიზი საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით
- 3.3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრში არსებული ნაკლოვანებები და განვითარების შესაძლებლობები

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

ოფიციალური სტატისტიკა დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ელემენტია, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოებას ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფს. გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში პროცესების ზუსტი ანალიზისა და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სტატისტიკური მეთოდოლოგიების დახვეწასა და განახლებას, რის მიხედვითაც იწარმოება ქვეყნის სტატისტიკა და ხდება მიღებული ინფორმაციის გავრცელება.

თანამედროვე ოფიციალური სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის შემდეგ ძირითად პრინციპებს: მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა; პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა; ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა; სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება; სტატისტიკური წყაროს არსებობა; კონფიდენციალურობა; საკანონმდებლო ბაზის საჯაროობა; ეროვნული კოორდინაცია; საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება; საერთაშორისო თანამშრომლობა. საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოება უკვე საუკუნეს ითვლის. 1918 წ. 15 ნოემბერს, მიწათმოქმედების სამინისტროსთან დაარსდა სტატისტიკის დროებითი ბიურო, რომლის ფუნქციებში შედიოდა სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების შემუშავება, მიწის ფონდის აღრიცხვა და მისი განაწილების ნორმების განსაზღვრა. 1919 წ. 25 ივლისს, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, შეიქმნა რესპუბლიკის ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტი იმავე სამინისტროს შემადგენლობაში. კომიტეტს დაევალა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტატისტიკური სამუშაოების წარმართვა .

ჩვენი ქვეყნის გასაბჭოების პერიოდიდან გასული საუკუნის 90–იან წლებამდე საქართველოში განხორციელებული სტატისტიკური საქმიანობა საბჭოთა კავშირის

მასშტაბური სტატისტიკის ნაწილი გახდა და ეყრდნობოდა საბჭოთა სტანდარტებსა და მეთოდოლოგიებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კერძოდ კი 1990-იან წლებში საჭირო გახდა დაკვირვების მთელი ინსტრუმენტების ძირეული ცვლილება, ინფორმაციის მოპოვების განსხვავებული, ალტერნატიული წყაროების ფორმირება. მნიშვნელოვანი გახდა საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელი ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა. განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე ინსტიტუციონალური ცვლილებების და რეფორმების დახასიათება.

1995 წელს საქართველოს რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო სტატისტიკის პრიორიტეტული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მისი მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და განვითარების მიზნით, მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 3 აპრილის N181 დადგენილების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სტატისტიკის განვითარების სახელმწიფო ფონდი, რომლის პრეზიდენტის ფუნქციებსაც ასრულებდა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

დღეს საქართველოში სტატისტიკურ საქმიანობას დამოუკიდებელი სტრუქტურა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების გათვალისწინებით ახორციელებს. მისი ფუნქციონირების სამართლებრივ ბაზას 2009 წლის 11 დეკემბრიდან წარმოადგენს საქართველოს კანონი “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ”.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თანამედროვე მეთოდოლოგიების გათვალისწინებით აწარმოებს ქვეყნის ოფიციალურ სტატისტიკას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში, როგორც ინფორმაციის დამამუშავებელი ორგანო.

მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის სტატისტიკის წარმოება, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას ბიზნესის შესახებ. კერძოდ, აქ შედის ისეთი სტატისტიკური

ინფორმაცია, როგორცაა: საწარმოებისა და დასაქმებულთა რაოდენობა, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დანახარჯები, შრომის ანაზღაურება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში იზრდება მოთხოვნა ეკონომიკურ სტატისტიკაზე, ფართოვდება ეკონომიკური სტატისტიკის მოცვის არეალი ის უფრო კომპლექსური ხდება. ამის გამო საჭირო ხდება უფრო მეტი დეტალური ინფორმაციის წარმოება მიმდინარე პროცესების შესახებ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის წარმოება, რომელიც სტატისტიკური ინფრასტრუქტურის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

თავი I. ბიზნეს რეგისტრის როლი ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაში

1.1 ბიზნეს რეგისტრის დანიშნულება და მისი ძირითადი მახასიათებლები

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი სტატისტიკური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს (სასიცოცხლო მნიშვნელობის) კომპონენტს წარმოადგენს. ხშირად მოიაზრებენ მას, როგორც ხერხემალს ეკონომიკურ სტატისტიკის წარმოების საქმეში.

ცხრილი 1 სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის განსაკუთრებული როლი

	როლი	მიზანი
1	სბრ ცოცხალი რეგისტრი	უამრავ წყაროდან მიღებულ მონაცემებსა და სტატისტიკურ ერთეულებს შორის გზამკვლევის როლის შესრულება
2	სბრ გააყინული რეგისტრი/რეგისტრის სურათი და გაყინული ჩარჩო	გარკვეული დროის ფიქსირებულ მომენტში არსებულსტატისტიკურ (და შესაძლოა ადმინისტრაციულ) ერთეულთა ერთობლიობის მიწოდება.
3	სბრ კვლევის ჩარჩო	დროის მითითებულ მომენტისათვის კვლევისათვის ვარგის სტატისტიკურ ერთეულთა ერთობლიობის მიწოდება, თავის ყველა საჭირო მახასიათებლებით

4	სბრ კვლევის მხარდაჭერა (დახმარება)	კვლევის გამოპასუხების მონიტორინგი და გამოპასუხების ტვირთის გაზომვა და კონტროლი
5	სბრ სტატისტიკები (სტატისტიკური მაჩვენებლები)	უშუალოდ სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრის მონაცემებზე დაყრდნობით სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოება
6	სბრ ინფორმაციის წყარო	საწარმოებისა და მათი ადგილმდებარეობის და აგრეთვე სხვა მახასიათებლების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფა
7	სბრ მონაცემთა საერთაშორისო გაცვლა	საერთაშორისო სტატისტიკურ მაჩვენებლებთან შესაბამისობის (კოჰერენტულობის) ხელშეწყობა
8	სბრ სტატისტიკური წარმოებისა და მომსახურების მოდერნიზაცია	ეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოების პროცესში სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ინტეგრაციის ხელშეწყობა


ქვემოთ ცხრილში 1 ნაჩვენებია სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრის რვა მნიშვნელოვანი როლი.

განვილიხილოთ ბიზნეს რეგისტრის თითოეული როლი.

პირველი როლი

(სბრ ცოცხალი რეგისტრი) - ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა განახლებას გულისხმობს (აქტუალიზაციას) სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციის დაყრდნობით. შემოსული სხვადასხვა ინფორმაცია გამოიყენება სტატისტიკურ ერთეულთა ლიკვიდაციის, შექმნის, დემოგრაფიული მოვლენების ასახვის და მათი მახასიათებლების განახლების მიზნით.

სქემა 1. სბრ გაყინული ჩარჩო




მეორე როლი

(გაყინული ჩარჩო და სბრ გაყინული რეგისტრი/რეგისტრის სურათი) - გულისხმობს ცოცხალი რეგისტრიდან გაყინული რეგისტრის (ანუ დროის კონკრეტულ მომენტში ცოცხალი რეგისტრის ასლის) და გაყინული ჩარჩოს (გაყინული რეგისტრის ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ მოქმედ სტატისტიკურ ერთეულებს შეიცავს) წარმოებას შემდეგში კვლევისათვის შესაბამისი ჩარჩოს წარმოებისთვის.

მესამე როლი

(სბრ კვლევის ჩარჩო) - იგულისხმება კვლევებისათვის ჩარჩოების წარმოება. კვლევისათვის სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი უზრუნველყოფს შესაბამის სტატისტიკურ ერთეულთა ნაკრების (გაყინული ჩარჩოს ქვეჯგუფი) მიწოდებას გარკვეული მახასიათებლებით, რომელიც შერჩევის და სტრატეგიცირებისა ჩატარებისათვისაა საჭირო, ხოლო შერჩევის ჩატარების შემდეგ შერჩეულ ერთეულთათვის საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდებასაც.

სქემა 2. სბრ კვლევის ჩარჩო




მეოთხე როლი

(სბრ კვლევის მხარდაჭერა/დახმარება) - გულისხმობს გარკვეული კვლევის გამოპასუხების ტვირთის გაზომვასა და ანგარიშგების სტატუსებისა და კონტროლს. გამოპასუხების ტვირთი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. ამას სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი ახორციელებს გამოპასუხების ტვირთის შესახებ ყველა ინფორმაციის კვლევისდა შენახვითა ორგანიზატორთათვის იმ ინფორმაციის მიწოდებით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კვლევის დიზაინის ოპტიმიზაციისათვის.


მეხუთე და მეექვსე როლი

(სბრ სტატისტიკური მონაცემები და ინფორმაციის წყარო - გულისხმობს მომხმარებლის უზრუნველყოფას მაკრო მონაცემებითა (დემოგრაფიული და ეკონომიკური სტატისტიკა) და მიკრო მონაცემებით (მისამართი,საწარმოს სახელი, და მახასიათებლები)

სქემა 3. სბრ კვლევის მხარდაჭერა




სქემა 4. სბრ სტატისტიკები




მეშვიდე როლი (სბრ მონაცემთა საერთაშორისო გაცვლა) - გულისხმობს მეტამონაცემებისა და მონაცემებისა ქვეყნებს შორის გაცვლის ხელშეწყობას, ეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების საერთაშორისო შედარებადობის გაუმჯობესებისა (მაგ: ორ ქვეყანას შორის გარე და შიდა უცხოური ფილიალების სტატისტიკა) და მრავალეროვნული საწარმოების საქმიანობის გაზომვის მიზნით.

სქემა 5. სბრ ინფორმაციის წყარო



სქემა 6. სბრ მონაცემთა საერთაშორისო გაცვლა




მერვე როლი

(სბრ სტატისტიკურ მომსახურებისა და წარმოებისა მოდერნიზაცია - სტატისტიკისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა წყაროებში ერთეულთა შესახებ არსებულ ინფორმაციის ერთმანეთთან კოორდინაცია და დაკავშირება. სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი ხელს უწყობს ადმინისტრაციული რეგისტრის გამოყენებას და ახორციელებს ტრადიციულ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიდან და წყაროებიდან მიღებულ მონაცემთა პოტენციურ შენახვასა და დაკავშირებასა და მომხმარებლისათვის ინტეგრირებულ მონაცემების მიწოდებას¹.

სტატისტიკის ბიზნეს რეგისტრი, ზოგადად არეგისტრირებს ყველა ინსტიტუციურ ერთეულს, რომელიც დაკავებულია ეკონომიკური საქმიანობით (საქმიანობა, რომლითაც წვლილი შეაქვს მშპ(მთლიანი შიდა პროდუქტის) წარმოებაში).

1.2 ბიზნეს რეგისტრის წყაროები, აქტუალიზება და ხარისხის პოლიტიკა

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი (SBR) ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან იღებს, ახდენს მათ კონსოლიდირებას, დამუშავებას და შემდგომ გავრცელებას. ინფორმაციის და მონაცემების წყაროები ჩვენ შეგვიძლია დავაჯგუფოთ სამ ნაწილად:



¹ვროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ბიურო, სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის მეთოდოლოგია, 63-ე პლენარული სესია, ჟენევა, 2015, გვ 39.

თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილთაგან, ყველაზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული წყაროები, რომელიც თავის მხრივ შედგება :

საგადასახადო რეგისტრი
სავაჭრო ასოციაციების კომერციული რეგისტრი
სოციალური დაზღვევის რეგისტრი
შრომისა და დასაქმების რეგისტრი
სახელმწიფო ერთეულთა რეგისტრი. (ასეთი რეგისტრი როგორც წესი ინახება ფინანსთა სამინისტროში საჯარო სექტორის ფინანსური მართვის თვალსაზრისით)
სასოფლო-სამეურნეო ადმინისტრაციული რეგისტრი
წყალმომარაგებისა და ელექტროსადისტრიბუციო კომპანიების რეგისტრი
ცენტრალური/ეროვნული ბანკი

ადმინისტრაციული წყაროს გამოყენებას გააჩნია გარკვეული უპირატესობები:

- მოცვა
- ღირებულება
- გამოპასუხების ტვირთი
- დროულობა

- ❖ **მოცვა.** აქ სამიზნე ერთობლიობის თითქმის სრულ მოცვას აქვს ადგილი განსხვავებით კვლევებისგან. გარდა ამისა ამცირებს გამოუპასუხებლობას და იძლევა უფრო ზუსტ ინფორმაციას.
- ❖ **გამოპასუხების ტვირთი.** ზოგადად, ადმინისტრაციული წყაროს გამოყენება გარკვეულწილად ამცირებს გამოპასუხების ტვირთს.

❖ **ღირებულება.** ღირებულება გაცილებით ნაკლებია ან უფრო ხშირად უფასოა, კვლევებისგან განსხვავებით.

❖ **დროულობა.** ადმინისტრაციული წყაროს გამოყენება ძალიან აუმჯობესებს ზოგადად, ბიზნეს რეგისტრის ხარისხს, რამდენადაც მნიშვნელოვან მახასიათებლების შესახებ შეუძლია უახლესი ინფორმაციის მიწოდება, ისეთებზე როგორცაა: მისამართი და დასახელება, ერთეულის გარდაცვალება და დაბადება, ამ მოვლენათა საქმიანობის კოდი, თარიღები, ზომა, მდებარეობა, და სხვა

- ადმინისტრაციული წყაროების გამოყენებას თავის მხრივ გააჩნია თავისი ნაკლი. კერძოდ:

❖ დროულობასთან დაკავშირებული პრობლემა. ხადახან შესაძლებელია ადმინისტრაციულ წყაროდან ინფორმაციის მიღების თარიღი ვერ აკმაყოფილებდეს დროსთან მიმართებაში სტატისტიკური სამსახურის მოთხოვნებს.

❖ ცვლილებები ადმინისტრაციულ რეგულაციებსა და პროცედურებში.

❖ სტატისტიკურ და ადმინისტრაციულ შორის სხვაობა;

სტატისტიკური წყარო შესაძლებელია გამოტოვებულ მახასიათებელთა შევსების მიზნით იქნას გამოყენებული. მაგალითად, თუ ადმინისტრაციულ წყაროდან მიღებული მონაცემები შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ და მისი საქმიანობის სახის კოდს, მაშინ შესაძლოა შეფასდეს ბრუნვის მაჩვენებელი ანალოგიური ერთეულის დასაქმებული/ბრუნვა მაჩვენებლის გამოყენების ხარჯზე.

სტატისტიკური წყაროებია:

ეკონომიკური აღწერა

საწარმოთა და საქმიანობის ადგილობრივ ერთეულთა კვლევები


სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი კვლევები

ეკონომიკური აღწერა მრავალ განვითარებად და განვითარებულ (მაგალითად: აშშ) ქვეყნებში გამოიყენება და ნამდვილად, უმნიშვნელოვანესია და სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და სრულყოფისა და მაგრამ ის დიდ ადამიანურ რესურსებს, მოითხოვს დიდ დროს და საკამოდ ძვირადღირებულია. ამდენად, გონივრულია მისი ჩატარება შედარებით იშვიათად, მაგალითად 5 წელიწადში ერთხელ.

საქმიანობის ადგილობრივ ერთეულთა და საწარმოთა კვლევებიდან მიღებულ ინფორმაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა განახლებისათვის, რადგან ის გვაძლევს უახლოეს ინფორმაციას დემოგრაფიული მისამართის, მოვლენების, მასტარტიფიცირებელი მახასიათებლების და სხვა მონაცემების ცვალებადობის შესახებ. მაგრამ მისი ერთ-ერთი ნაკლია ის რომ, აღნიშნულ ინფორმაციას მხოლოდ კვლევაში ჩართულ ანუ ლიმიტირებულ რაოდენობის სუბიექტებისთვის იძლევა და ასევე ისიც, რომ ის არ გვაწვდის ცნობებსა თუ ინფორმაციას საწარმოთა დაბადების შესახებ.

ბიზნეს რეგისტრის ახალი ინფორმაციით უზრუნველყოფის და მისი ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს სპეციალურად კონკრეტულად ამ მიზნით დაგეგმილი კვლევები. მიზანშეწონილია მათი ყოველწლიურად ჩატარება ისე, რომ მოცულ იქნას მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა შესაბამისად 10%, 50% და 100 %.

სხვა წყაროებს მიეკუთვნება:



სატელეფონო ცნობარები ან სატელეფონო კომპანიების მონაცემები გამოიყენება მონაცემთაარსებულის გადამოწმების ან შევსებისთვის.

ინტერნეტი შესაძლებელია მხოლოდ დამატებით ინფორმაციის წყაროდ გამოიყენებოდეს, მაგრამ არა ახალი ორგანიზაციების იდენტიფიცირებისათვის.

მთელი რიგ კომერციული ორგანიზაციებს, რომლებიც ემსახურებიან საწარმოებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში (მაგ:მარკეტინგის საკითხების შესახებ,კრედიტის აღებასთან დაკავშირებით), გააჩნიათ ამ ორგანიზაციების შესახებ სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრისათვის ღირებული ინფორმაცია.

ამრიგად, ეს კერძო მონაცემთა ბაზები შესაძლებელია მნიშვნელოვანი წყარო გახდეს ბიზნეს რეგისტრისათვის.

1.3 სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის შექმნის ისტორია საქართველოსა და დანიაში

საქართველოში ბიზნეს რეგისტრი შეიქმნა 1995 წელს. მისი შექმნისას თავდაპირველად გათვალისწინებული იყო ევროპული ქვეყნების გამოცდილება კონკრეტულად სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის წარმოებაში. გათვალისწინებული იყო კონკრეტულად ჰოლანდიის სტატისტიკური ბიუროს ექსპერტების რეკომენდაციები. მისი პროექტის შექმნა განხორციელდა 1995 წელს TACIS-ის პროგრამით. ამავე წელს ცვლილება განიცადა სტატისტიკის მოწყობის ძველმა სქემამ (ინფორმაციის ცენტრალიზებული შეგროვებისა და დამუშავების პრინციპი), კერძოდ, იგი გახდა დეცენტრალიზებული და დაეფუძნა ქვეყნის ახალი მოწყობის პრინციპს - სამხარეო ადმინისტრაციებს. ამ პრინციპის გათვალისწინებით ქვეყნის 11 მხარეში შეიქმნა სამხარეო სტატისტიკური სამსახურები, რომლებიც კოორდინაციას უწევდნენ მათში შემავალი რეგიონალური განყოფილებებს (საქსტატის რეგიონალური ოფისები ფუნქციონირებდა ქვეყნის ყველა ქალაქსა და რაიონში და მათი რაოდენობა იყო 84).

ბიზნეს-რეგისტრის ბაზებისთვის შეირჩა სისტემა-Paradox 5 for Windows, რომელსაც გააჩნდა საკმაოდ მძლავრი და მარტივად ასათვისებელი ვიზუალური პროგრამირების საშუალება.

გარკვეული დროის შემდეგ, სტატისტიკის პოპულარობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნა მოქნილ სტატისტიკურ ბაზებზე, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ მოკლე დროში, გაცილებით დიდ და კომპლექსური ინფორმაციის დამუშავების. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა, უცხოელი ექსპერტებისა და ტექნიკოსების დახმარებით, არსებული ბაზების კონსტრუქციის შეცვლა და განახლება.


საქართველოსგან განსხვავებით, დანიაში სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ჩამოყალიბება შედარებით ადრე დაიწყო, მეოცე საუკუნის შუა ნახევრიდან იწყებს ჩამოყალიბებას. ის 1959 წელს ბიზნეს აღწერის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

დანიაში სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. დანიის სტატისტიკის სამსახურმა გასწია სერიოზული მუშაობა "ჩრდილოვანი რეესტრის" აღმოსაფხვრელად. უახლესი მოვლენა რეესტრის სრულყოფის (განვითარების)

თვალსაზრისით იყო სასოფლო-სამეურნეო რეგისტრის ზოგად ბიზნეს რეგისტრთან მიერთება. გამოყენებულ იქნა ორი ადმინისტრაციული რეგისტრი (ცენტრალური შინამეურნეობის ცხოველთა რეგისტრი და გენერალური სასოფლო-სამეურნეო რეგისტრი) რომლებიც მოიცავდა სასოფლო-სამეურნეო სექტორს, აგრეთვე ციფრული რუკები და ამ რუკებიდან ტყეების შესახებ ინფორმაციის ტრანსფორმაცია LKAU -ის განსაზღვრის მიზნით.

საქმიანობის ადგილობრივი ერთეულის (LKAU) შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემა საგადასახადო ორგანოებთან და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით შეიქმნა. სისტემა ამოქმედდა 1980 წლიდან. ყოველ LKAU-ს, რომელიც მიეკუთვნებოდა ისეთ იურიდიულ ერთეულს, რომელსაც გააჩნდა ერთზე მეტი LKAU, ენიჭებოდა სამნიშნა კოდი. ყოველ ნომბერს სტატისტიკის სამსახური იურიდიულ ერთეულს უგზავნიდა LKAU-ის ჩამონათვალს შესაბამისი მისამართებითა და საქმიანობის კოდებით. იურიდიულ ერთეულს უნდა შეევსო მონაცემები და დაემატებინა ცვლილებების შესახებ მონაცემები (მაგ: საქმიანობის ცვლილება, ახალი LKAU-ის დამატება ან ისეთის წაშლა, რომელიც უკვე აღარ იყო მის საკუთრებაში). თუ ადგილი ქონდა LKAU-ის სხვის საკუთრებაში გადასვლას, მაშინ კითხვარი ეგზავნებოდა ახალ მფლობელს. როცა იურიდიული ერთეული საგადასახადო ორგანოებს უგზავნიდა ინფორმაციას დაქირავებულთა შემოსავლისა და საშემოსავლო გადასახადის შესახებ, მას უნდა მიეთითებინა იმ LKAU-ის სამნიშნა კოდი, რომელშიც თითოეული თანამშრომელი იყო დასაქმებული ნომბრის ბოლოს. სადაც ადმინისტრაციული ერთეული შეესაბამებოდა მხოლოდ ერთ LKAU-ს, იურიდიული ერთეულს არ ევალეობოდა LKAU-თან დაკავშირებული ფურცლის (სიის) შევსება ან დასაქმებულთათვის LKAU-ის შესაბამისი სამნიშნა კოდის მითითება. ეს სისტემა აგრეთვე მოიცავდა მისამართის შესწორებას იმ იურიდიულ ერთეულთათვის, რომელთაც მხოლოდ ერთი LKAU გააჩნდათ, მაგრამ იმისგან განსხვავებულ ადგილას (მისამართზე), ვიდრე დღეს რეგისტრში იყო მითითებული.

დანის სტატისტიკის სამსახური ყოველთვის იღებს მონაცემებს დღ-ს რეგისტრისაგან ბრუნვის შესახებ და საშემოსავლო გადასახადის რეგისტრისაგან ხელფასების შესახებ, რომლიდანაც დასაქმებულთა რაოდენობა იანგარიშება.




დანის სტატისტიკის სამსახური ქვეყანაში სტატისტიკის ძირითადი მწარმოებელია. სტატისტიკის ორგანო შედგება ოთხი დეპარტამენტისგან: ერთი ზოგადი შიდა მომსახურება და სამი სტატისტიკური დეპარტამენტი განსაზღვრული სუბიექტების: სოციალური სტატისტიკის, ბიზნეს სტატისტიკის და ეკონომიკური სტატისტიკის სფეროების მიხედვით. ქვეყანაში წარმოებული ბიზნეს სტატისტიკის უმეტესობა მუშავდება ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტში.

დეპარტამენტები თავის მხრივ ჩაშლილია განყოფილებებად/სამმართველოებად, ისევე როგორც საქართველოს ეროვნულ სტატისტიკის სამსახურში. ერთ-ერთი განყოფილება

მოიცავს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრს (SBR) და ყველა ინდუსტრიის სტრუქტურულ ბიზნეს სტატისტიკას.

დანის SBR ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული დანის ადმინისტრაციული ბიზნესის რეგისტრს CVR-სთან. CVR შეიცავს საბაზისო ინფორმაციას დანის ყველა ბიზნეს სუბიექტს, განსაკუთრებით ორი ერთეულის ტიპთან დაკავშირებით: იურიდიული ერთეულები და LKAU, რომლებიც მიეკუთვნებიან იურიდიულ ერთეულებს. სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი უკავშირდება CVR-ს, და SBR შეიცავს CVR-ის სრულ ასლს. გარდა ამისა, SBR შედგება უფრო სრულყოფილ და დიდი ინფორმაციისგან თითოეულ საწარმოო ერთეულზე ვიდრე CVR.



დანის სტატისტიკის სამსახურმა აგრეთვე დიდი მუშაობა გასწია ჩრდილოვანი რეგისტრის აღმოფხვრაზე. ერთ-ერთი ბოლო დროის სიახლევი სასოფლო-სამეურნეო რეგისტრის ბიზნეს რეგისტრთან გაერთიანება იყო.

რამდენიმე წლის წინ დამქირავებელთა მიერ საგადასახადო სამსახურებისათვის თავიანთ დასაქმებულთა შემოსავლებზე ინფორმაციის მიწოდების ახალი სისტემა იქნა შემოღებული, რომლის თანახმადაც დამქირავებელი არა მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის, არამედ იმ ადგილობრივი ერთეულის საქმიანობის სახის შესახებ ინფორმაციასაც იძლევა, რომლითაც დაქირავებული არის დასაქმებული. ეს ინფორმაცია იძლევა არა მხოლოდ დასაქმების შესახებ ძალიან კარგი სტატისტიკის წარმოების საშუალებას, არამედ იმის დანახვის საშუალებასაც ადგილობრივი ერთეულის საქმიანობის სახე ხომ არ გადავიდა ახალი დამქირავებლის ხელში (ასეთის არსებობის შემთხვევაში ახალი საწარმოს ჩამოყალიბებას ექნება ადგილი).

იმედოვნებენ, რომ 2016 წლისათვის კომპანიებისათვის აუცილებელი გახდება სხვა საწარმოების მფლობელობის შესახებ ინფორმაციის ბიზნესის სამინისტროსათვის მიწოდება. თავის მხრივ ეს უკანასკნელი დანიის სტატისტიკის სამსახურს მიაწოდებს აღნიშნულ ინფორმაციას.

თავი 2. მონაცემთა ბაზების სტრუქტურა ბიზნეს რეგისტრში

2.1 ბიზნეს რეგისტრის მთავარი ცხრილის (BR-Main) მახასიათებლები

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის სტრუქტურა დაყოფილია ქვე სისტემებად, რომლებიც მთლიანობაში, ჰარმონიზებული მუშაობის შედეგად ქმნიან ერთიან, საბოლოო ბაზას, რომელიც უშუალოდ მიეწოდება მის მომხმარებელს. ბიზნეს რეგისტრის სტრუქტურა შედგება ძირითადი და დამხმარე ბაზებისგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ქვე-ჯგუფებად:

ძირითადი ბაზები

CL - კლასიფიკატორები
BR - ბიზნეს რეგისტრი
PR - ფიზიკური პირების რეგისტრი

დამხმარე ბაზები

Z - ყველა ძირითადი ბაზის ისტორიის ცხრილები
TempDataMigration - დროებითი ბაზა Paradox ფაილებიდან და Statistics ბაზებიდან მონაცემთა მიგრაციისთვის
SR - შუალედური ბაზა საჯარო რეესტრიდან მიღებული მონაცემების დამუშავებისთვის

ველები: - **Stat_ID:** ბიზნეს რეგისტრის უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც გამოითვლება BR_Intervals ცხრილის მეშვეობით.

- **Legal_Code:** მოიცავს -საიდენტიფიკაციო კოდი (ინდემწარმეები 11 ნიშნა, იურიდიული პირები 9 ნიშნა)
- **Legal_Form_ID:** იურიდიული ფორმის ID
- **Full_Name:** სუბიექტის სახელწოდება
- **Fax:** ფაქსი (ზოგადი); - **Tel:** ტელეფონი (ზოგადი); - **Email:** ელ. ფოსტა (ზოგადი)
- **Registrar_ID:** მარეგისტრირებელი ორგანო
- **Web:** ვებ-გვერდი
- **Ownership_Type_ID:** სუბიექტის საკუთრების ფორმა
- **Reg_No:** რეგისტრაციის ნომერი; - **Reg_Date:** რეგისტრაციის თარიღი

- **Registration_Location_ID:** მარეგისტრირებელი ორგანოს მდებარეობა **Stat_Liq_Date:** ლიკვიდაციის თარიღი სტატისტიკაში
- **Court_Liq_Date:** ლიკვიდაციის თარიღი სასამართლოში
- **Stat_Reg_Date:** რეგისტრაციის თარიღი საქსტატში.
- **Stat_Reg_Type_ID:** სტატისტიკის სამსახურში რეგისტრაციის ტიპი
- **Note:** შენიშვნა
- **Rec_Date:** ბაზაში მონაცემის ჩაწერის თარიღი
- **User_ID:** ბაზაში მონაცემის ჩამწერი

Physical Name	Data Type	Req'd	PK	Notes
Stat_ID	int	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	სტატისტიკის კოდი რომელიც გამოივლება ფორმულით
Legal_Code	bigint	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	საიდენტიფიკაციო კოდი (იურიდიული პირები 9 ნიშნა, ინდ მეწარმეები 11 ნიშნა)
Legal_Form_ID	smallint	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	იურიდიული ფორმა
Full_Name	nvarchar(1000)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	სახელწოდება
Tel	nvarchar(200)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ტელეფონი (ზოგადი)
Fax	nvarchar(200)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ფაქსი (ზოგადი)
Email	nvarchar(200)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ელ. ფოსტა (ზოგადი)
Web	nvarchar(200)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ინტერნეტ გვერდი
Ownership_Type_ID	smallint	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	საკუთრების ფორმა
Registrar_ID	smallint	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	მარეგისტრირებელი ორგანო
Registration_Location_ID	int	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	რეგისტრაციის მისამართი
Reg_No	nvarchar(200)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	რეგისტრაციის ნომერი
Reg_Date	smalldatetime	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	რეგისტრაციის თარიღი
Court_Liq_Date	datetime	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	სასამართლოში ლიკვიდაციის თარიღი
Stat_Liq_Date	datetime	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	სტატისტიკაში ლიკვიდაციის თარიღი
Stat_Reg_Date	smalldatetime	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	სტატისტიკის სამსახურში რეგისტრაციის თარიღი
Stat_Reg_Type_ID	tinyint	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	სტატისტიკის სამსახურში რეგისტრაციის ტიპი
Note	nvarchar(4000)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	შენიშვნა
Data_Source_ID	smallint	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	მონაცემთა წყარო
Data_Soure_Note	nvarchar(500)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	მონაცემთა წყაროს დამატებითი ინფორმაცია
Inactive	int	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	არააქტიური

2.2 ბიზნეს რეგისტრის კლასიფიკატორები

როდესაც ბიზნეს რეგისტრი სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროდან თუ კვლევიდან იღებს ინფორმაციას, მიღებული ინფორმაცია ავტომატურად მუშავდება და აისახება ბაზაში. დამუშავების პროცესში, მიღებული ინფორმაცია დაიყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. კლასიფიკატორების მეშვეობით დანაწევრებული ინფორმაცია აისახება შესაბამის ველში.

გამოიყოფა შემდეგი სახის ძირითადი კლასიფიკატორები: ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების, საკუთრების ფორმების, საქმიანობის (NACE Rev 1.1 და NACE Rev2.), მარეგისტრირებელი ორგანოების, რეგისტრაციის თარიღების, აქტიურობის და სხვა ქვემოთ ჩამოთვლილი.

CL_Legal_Forms

ქვემოთ მოცემული მასალა ასახავს იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმებს.

შედგება შემდეგი მახასიათებლებისგან:

- **ID:** Autonumber.
- **Legal_Form:** სუბიექტის სამართლებრივი ფორმა
- **Abbreviation:** შემოკლებული სახელი (მაგალითად სს,სპს);
- **Stat_ID_Type:** კოდის ტიპი-სტატისტიკური (1 – იურიდიული ტიპი; 2 – ინდ მეწარმე)
- **Inactive:** არააქტიური (გაუქმებული სუბიექტის აღსაღნიშნად)

Physical Name	Data Type	Req'd	PK	Notes
ID	smallint	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	ID identifies სამართლებრივი ფორმები
Abbreviation	nvarchar(100)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	შემოკლება
Legal_Form	nvarchar(200)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	სამართლებრივი ფორმა
Stat_ID_Type	tinyint	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	სტატისტიკური კოდის ტიპი (1 – იურიდიული ტიპი; 2 – ინდ მეწარმე)
Inactive	bit	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	არააქტიური
User_ID	int	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ჩანაწერის ავტორი
Rec_Date	datetime	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ჩანაწერის დრო
Rec_Type	char(1)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ჩანაწერის ტიპი

ცხრილი 2. საკუთრების ფორმის კლასიფიკატორი

ID	Ownership_Type
----	----------------

11	კერძო ადგილობრივი საკუთრება
12	კერძო უცხოური საკუთრება
21	სახელმწიფო საკუთრება
22	მუნიციპალური საკუთრება
31	შერეული საკუთრება სახელმწიფოს უპირატესობით
32	შერეული კერძო საკუთრება ადგილობრივის უპირატესობით
33	შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით
41	რელიგიური
42	სხვა
99	გაურკვეველი

ცხრილი 3. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კლასიფიკატორი

ID	Abbreviation	Legal_Form	Stat_ID _Type
1	შპს	შეზღუდული საზოგადოება (შპს)	პასუხისმგებლობის 1
2	სს	სააქციო საზოგადოება	1
3	სპს	სოლიდარული საზოგადოება (სპს)	პასუხისმგებლობის 1
4	კს	კომანდიტური საზოგადოება	1
5	კოოპერატივი	კოოპერატივი	1

16	გლახური (ფერმერული) მეურნეობა	გლახური (ფერმერული) მეურნეობა	1
23	სხვა საწარმო	სხვა საწარმო	1
24	აუდიტი	აუდიტი	1
25	ნოტარიუსი	ნოტარიუსი	1
30	იმ	ინდივიდუალური მეწარმე	2
38	უცხოური ფილიალი	აიკ-ის უცხოური პირის ფილიალი	1
39	უცხოური ფილიალი	საწარმოს უცხოური საწარმოს ფილიალი	1
40	სახელმწიფო დაწესებულება	სახელმწიფო დაწესებულება	1
66	ფილიალი	ფილიალი	1
88	წარმომადგენლობა	წარმომადგენლობა	1
98	ა(ა)იკ	არასამეწარმეო იურიდიული პირი (არაკომერციული)	1
99	სსიკ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი	1
100	ერთი შინამეურნეობა	ერთი შინამეურნეობა	3
108	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო	1
111	ამხანაგობა	ამხანაგობა	1
200	რამოდენიმე შინამეურნეობა	რამოდენიმე შინამეურნეობა	3

მნიშვნელოვანი და საინტერესოა ასევე იმ ადმინისტრაციული-ტერიტორიული კლასიფიკატორის განხილვა, რომლის მიხედვითაც ენიჭება ეკონომიკურ სუბიექტებს ტერიტორიის კოდები (ე.წ Location_ID)

ცხრილი 4 . ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულების კლასიფიკატორი

კოდი	მუნიციპალიტეტების დასახელება
99	უცნობი
11 25	გლდანის რაიონი
11 29	დიდუბის რაიონი
11 33	ვაკის რაიონი
11 35	ისნის რაიონი
11 37	ძველი თბილისის რაიონი
11 39	კრწანისის რაიონი
11 43	მთაწმინდის რაიონი
11 47	ნაძალადევის რაიონი
11 53	საბურთალოს რაიონი
11 58	სამგორის რაიონი
11 63	ჩუღურეთის რაიონი
11 65	დიდგორის რაიონი
12 11	ქ. სოხუმი

12 14	ქ. ტყვარჩელი
12 16	გაგრის მუნიციპალიტეტი
12 24	გალის მუნიციპალიტეტი
12 28	გუდაუთის მუნიციპალიტეტი
12 32	გულრიფშის მუნიციპალიტეტი
12 34	ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი
12 36	სოხუმის მუნიციპალიტეტი
15 11	ქ. ბათუმი
15 23	ქედის მუნიციპალიტეტი
15 25	ქობულეთის მუნიციპალიტეტი
15 29	შუახევის მუნიციპალიტეტი
15 32	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
15 35	ხულოს მუნიციპალიტეტი
23 23	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
23 25	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
23 27	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
26 11	ქ. ქუთაისი
26 14	ტყიბულის მუნიციპალიტეტი
26 16	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
26 18	ჭიათურის მუნიციპალიტეტი
26 23	ბაღდათის მუნიციპალიტეტი

26 27	ვანის მუნიციპალიტეტი
26 29	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
26 31	თერჯოლის მუნიციპალიტეტი
26 33	სამტრედიის მუნიციპალიტეტი
26 35	საჩხერის მუნიციპალიტეტი
26 37	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
26 39	ხონის მუნიციპალიტეტი
29 24	ახმეტის მუნიციპალიტეტი
29 26	გურჯაანის მუნიციპალიტეტი
29 28	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი
29 30	თელავის მუნიციპალიტეტი
29 32	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
29 34	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
29 36	სიღნაღის მუნიციპალიტეტი
29 38	ყვარლის მუნიციპალიტეტი
32 23	ახალგორის მუნიციპალიტეტი
32 25	დუშეთის მუნიციპალიტეტი
32 27	თიანეთის მუნიციპალიტეტი
32 29	მცხეთის მუნიციპალიტეტი
32 31	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
35 23	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

35 26	ლენტეხის მუნიციპალიტეტი
35 29	ონის მუნიციპალიტეტი
35 31	ცაგერის მუნიციპალიტეტი
38 14	ქ. ფოთი
38 23	აბაშის მუნიციპალიტეტი
38 25	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
38 28	მარტვილის მუნიციპალიტეტი
38 30	მესტიის მუნიციპალიტეტი
38 32	სენაკის მუნიციპალიტეტი
38 34	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი
38 36	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი
38 38	ხობის მუნიციპალიტეტი
41 23	ადიგენის მუნიციპალიტეტი
41 25	ასპინძის მუნიციპალიტეტი
41 27	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
41 29	ახალციხის მუნიციპალიტეტი
41 31	ბორჯომის მუნიციპალიტეტი
41 33	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
44 11	ქ. რუსთავი
44 24	ბოლნისის მუნიციპალიტეტი
44 26	გარდაბნის მუნიციპალიტეტი

44 28	დმანისის მუნიციპალიტეტი
44 30	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
44 32	მარნეულის მუნიციპალიტეტი
44 34	წალკის მუნიციპალიტეტი
47 14	ქ. ცხინვალი
47 24	გორის მუნიციპალიტეტი
47 26	კასპის მუნიციპალიტეტი
47 28	ქარელის მუნიციპალიტეტი
47 31	ხაშურის მუნიციპალიტეტი

ცხრილი 5. მარეგისტრირებელ ორგანოთა კლასიფიკატორი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოში მარეგისტრირებელ ორგანოთა კლასიფიკატორი, რომლის მიხედვითაც ხდება დაჯგუფება საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ბიზნეს რეგისტრში არსებული ეკონომიკური სუბიექტები მარეგისტრირებელი ორგანოების მიხედვით.

ID	Registrar
1	სასამართლო
2	საგადასახადო ინსპექცია
3	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
4	სხვა დანარჩენი
99	გაურკვეველი

ცალკეული სუბიექტის შესახებ ბიზნეს რეგისტრში მოცემული ძირითადი ცვლადებია:

- ორგანიზაციის სრული დასახელება
- რეგისტრაციის ნომერი (ადმინისტრაციული წყარო)
- სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრში რეგისტრაციის თარიღი
- რეგისტრაციის თარიღი (ადმინისტრაციული წყარო)
- სტატისტიკური კოდი
- იურიდიული მისამართი
- საგადასახადოს საიდენტიფიკაციო ნომერი
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა
- საკუთრების ფორმა
- ფაქტიური მისამართი
- წარმომადგენლის/დირექტორის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომრები
- ტელეფონის (მათ შორის მობილური ტელეფონის) ნომერი, ფაქსის ნომერი
- ელ. ფოსტა და ვებ-გვერდი (საწარმოთა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობისათვის)
- პარტნიორი (დამფუძნებელი), თავიანთი წილებით
- ეკონომიკური საქმიანობის სახე
- პარტნიორი ქვეყანა
- რეორგანიზაცია

2.3 ბიზნეს რეგისტრში გამოყენებული ძირითადი ცნებები და განმარტებები

მნიშვნელოვანია იმ ცნებების და განმარტებების გათვითცნობიერება, რის მიხედვითაც ხდება სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის შექმნა და გარვცელება. ქვემოთ მოცემული ცნებები და განმარტებები დაგვეხმარება გავიაზროთ ისინი:

ეკონომიკური საქმიანობა გვიჩვენებს სხვადასხვა სახის რესურსების (ადამიანური რესურსები, ტექნიკა, ტექნოლოგია, ინფორმაციული ქსელები და ა. შ.) შერწყმას, რაც

შედეგის სახით იძლევა საქონლისა ან/და მომსახურების სხვადასხვა სახეს. ეკონომიკურ საქმიანობაში თავის მხრივ მოიაზრება წარმოების პროცესის არსებობა, რესურსების გამოყენება და შესაბამისად პროდუქტის გამოშვება.

პრაქტიკაში სუბიექტთა უმრავლესობა დაკავებულია შერეული ხასიათის საქმიანობით (ერთდროულად დაკავებულნი არიან რამოდენიმე, ერთზე მეტ საქმიანობის სახეს). შესაბამისად განსხვავდება:



ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც გამოირჩევა კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის მიერ მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში უდიდესი წილით.

ამგვარად არ არის აუცილებელი ძირითადი საქმიანობის წილად მოდიოდეს ეკონომიკური სუბიექტის მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 50 პროცენტი ან მეტი.

დამხმარე საქმიანობა წარმოადგენს საქმიანობის სახეებს, რომლებიც ქმნიან პირობებს სუბიექტის მიერ ეკონომიკური საქმიანობების (ძირითადი და არაძირითადი) განსახორციელებლად (საბუღალტრო აღრიცხვა, ტრანსპორტირება, შენახვა, ყიდვები, რეკლამა, რემონტი და ტექნიკური მომსახურება)².

ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც ჩართული არიან წარმოების პროცესში იწოდებიან საწარმოებად.

² მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2009, გვ. 5

ყურადღება უნდა გამახვილდეს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრის სამ ძირითადი ასპექტზე:

- "სისრულე", რაც გულისხმობს წარმოების პროცესით დაკავებულ ინსტიტუციურ ერთეულთა ბიზნეს რეგისტრში ჩართვის მასშტაბს.
- "მოცვა" გულისხმობს მთლიანი ეროვნული ეკონომიკური წარმოების იმ წილს, რასაც ეს ერთეულები აწარმოებენ.
- "შემადგენლობა" გულისხმობს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრში ჩართულ ერთეულთა მახასიათებლების (მაგ: ინსტიტუციონალური სექტორი, ზომა, ადგილმდებარეობა და რეგისტრაციის სტატუსი) ერთობლიობას.

ითვლება, რომ სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრს გააჩნია სრული მოცვა და შემადგენლობა, თუ ის მოიცავს ყველა ერთეულს, რომელიც აწარმოებს პროდუქციას ან ეწევა მომსახურებას თავის ყველა საჭირო მახასიათებლებთან ერთად. სინამდვილეში ყველა ასეთი ერთეულის სრული მოცვის მიღწევა შეუძლებელია. თუმცა, სასურველია, რომ სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის მოცვა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

განვიხილოთ ის ტერმინოლოგია, რომელიც სასურველია ვიცოდეთ აღნიშნული საკითხის - მოცვის ცნების განხილვამდე.

შიდა ეკონომიკა მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების საქმიანობას.

ეროვნული ეკონომიკა მოიცავს მხოლოდ რეზიდენტების საქმიანობას მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად.

ეროვნული ეკონომიკა შეიძლება დაყოფილ იქნას სამ ნაწილად: ფორმალური სექტორი, არაფორმალური სექტორი და შინამეურნეობების არასაბაზრო წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის.

მოცემული ქვეყნის **რეზიდენტი** ის სამეურნეო ერთეულია, რომლის ეკონომიკური ინტერესების ცენტრი მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიასთანაა დაკავშირებული. ეკონომიკური ტერიტორია არის მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულად მართვადი ტერიტორია, რომლის საზღვრებში ადამიანები,

საქონელი და ფული თავისუფლად გადაადგილდება ოპერაციების განხორციელების დროს.

ინტერესების ცენტრის ცნება გულისხმობს ეკონომიკური ოპერაციების ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე განხორციელების ხანგრძლივ პერიოდს.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა წარმოადგენს ინსტიტუციურ ერთეულ - რეზიდენტთა ერთობლიობას.

ინსტიტუციური ერთეული განისაზღვრება როგორც ეკონომიკური ერთეული, რომელიც ფლობს და განკარგავს აქტივებს, თავისი სახელით იღებს ვალდებულებებს, მონაწილეობს ეკონომიკურ ოპერაციებში სხვა ინსტიტუციურ ერთეულებთან, ადგენს ანგარიშების სრულ ნაკრებს³.

ინსტიტუციურ ერთეულთა ორ სახეს განასხვავებენ:

1. **იურიდიული პირები** (საწარმოები, კორპორაციები, კვაზიკორპორაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა.შ.);
2. **შინამეურნეობები** (ფიზიკური პირები ან პირთა ჯგუფი).

კორპორაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის თავისი მფლობელებისთვის მოგების ან სხვა ფინანსური სარგებლის მოტანის მიზნით. ისინი მოქმედებენ მათ მიმართ შეზღუდული პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების მქონე მფლობელებისგან განცალკევებულად. მათ მიეკუთვნებიან სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და სხვა.

არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების წარმოების მიზნით შექმნილ საწარმოებს, რომელთაც არ მოაქვთ მოგება ან ფინანსური სარგებელი იმ ერთეულებისათვის, რომლებიც აფუძნებენ, აკონტროლებენ ან აფინანსებენ მათ.

³ ბენაშვილი ი., საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგია და მისი სრულყოფის გზები, თბილისი 2010, გვ. 50

არაკომერციული ორგანიზაციები შეიძლება იყოს როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო.

საბაზრო არაკომერციული ორგანიზაციები აწესებენ გაწეული მომსახურებისათვის ისეთ საფასურს, რაც აძლევთ მათ საწარმოო დანახარჯების დაფარვისა და მოგების მიღების საშუალებას. თუმცა მოგების მიღება არც არის მათი ძირითადი მიზანი. მათ შეუძლიათ გაწეული მომსახურების ამონაგებს დაამატონ შემოსავლები საკუთრებიდან და ამით უზრუნველყონ ხარჯების დაფარვა. ასეთ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან საბაზრო არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია კომერციული საწარმოების მიერ მათთვის სხვადასხვა მომსახურების გასაწევად და მათი ინტერესების დასაცავად (მაგალითად, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ბირჟები, მეწარმეთა ასოციაციები).

არასაბაზრო არაკომერციულ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ორგანიზაციები, რომლებიც სთავაზობენ საქონელსა და მომსახურებას სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით. მათი ხარჯების დაფინანსების ძირითადი წყაროა არა გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, არამედ მათი წევრების შემონატანები, შემოწირულობანი და სხვა ტრანსფერები.

სექტორი წარმოადგენს მსგავსი ეკონომიკური ქცევის განმაპირობებელ მსგავსი ფუნქციების, ქცევისა და მიზნების მქონე ინსტიტუციურ ერთეულთა ერთობლიობას.

ეკონომიკის სექტორებში (ინსტიტუციონალურ სექტორებში) ინსტიტუციური ერთეულები ჯგუფდება ორი კრიტერიუმის მიხედვით:

1. მათ მიერ ეკონომიკურ პროცესში შესრულებული ფუნქციებისა და
2. გაწეული დანახარჯების დაფინანსების წყაროს მიხედვით.

სექტორების მიხედვით ეკონომიკის შესწავლის მიზანია ინსტიტუციურ ერთეულებს შორის საქონლისა და მომსახურების, შემოსავლებისა და ხარჯების, კაპიტალისა და ფინანსური ოპერაციების ნაკადების ანალიზი და პროგნოზირება, აგრეთვე ეკონომიკურ აგენტებს შორის ქცევებისა და ურთიერთდამოკიდებულებების გარკვევა.

ქვეყნის ეკონომიკა განიხილება ხუთი ინსტიტუციური სექტორის ერთიანობის თვალსაზრისით. ეს სექტორებია:

1. არაფინანსური კორპორაციების სექტორი,
2. ფინანსური კორპორაციების სექტორი,
3. სამთავრობო სექტორი,
4. შინამეურნეობების სექტორი და
5. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი.

ქვეყნის ეკონომიკის სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან ურთიერთობა და შესაბამისი ოპერაციები აისახება დანარჩენი მსოფლიოს სექტორში. საგარეო-ეკონომიკური სექტორი, ანუ “დანარჩენი მსოფლიო” განიხილება როგორც მეექვსე ინსტიტუციური სექტორი.

არაფინანსური კორპორაციების სექტორი მოიცავს მოგების მიღების მიზნით შექმნილ საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობას, რომლებიც აწარმოებენ საბაზრო საქონელსა და ეწევიან არაფინანსურ მომსახურებას.

ფინანსური კორპორაციების სექტორი მოიცავს მოგების მიღების მიზნით შექმნილ საფინანსო დაწესებულებებს (ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს), რომლებიც ეწევიან საფინანსო მომსახურებას.

სამთავრობო სექტორი მოიცავს პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის განსახორციელებლად შექმნილ დაწესებულებებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ (მომსახურება განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში) და კოლექტიურ (თავდაცვა, უშიშროება) არასაბაზრო მომსახურებას [4].

შინამეურნეობა არის საზოგადოების ძირითადი მეურნეობრივი საყოფაცხოვრებო უკრედი - ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ექვემდებარებიან ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისაგანაც⁴.

⁴საქართველოს კანონი საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ; ქალი და კაცი საქართველოში: სტატ. პუბლიკაცია, თბ., 2005

შინამეურნეობების სექტორი მოიცავს ფიზიკურ პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთა ძირითადი მიზანი სამუშაო ძალით წარმოების უზრუნველყოფა და საბოლოო მოხმარებაა. თუმცა ისინი ახორციელებენ ასევე საბაზრო პროდუქციის წარმოებასაც.

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი მოიცავს იურიდიულად ან საზოგადოების მიერ აღიარებულ ერთეულთა ერთობლიობას (პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, პროფკავშირები, რელიგიური დაწესებულებები), რომელთა ძირითადი მიზანია შინამეურნეობებისათვის არასაბაზრო მომსახურების გაწევა. მსგავსი ორგანიზაციები ფუნქციონირებენ შემოწირულობების ან ტრანსფერების მეშვეობით.

დანარჩენი მსოფლიოს სექტორი მოიცავს არარეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულთა ერთობლიობას, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ ოპერაციებს ქვეყნის რეზიდენტებთან. ის მოიცავს ისეთ ინსტიტუციურ ერთეულებსაც, როგორებიცაა საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ეკონომიკის სექტორებად დაყოფა განპირობებულია იმ ფუნქციონალური თავისებურებებით, რაც გააჩნია თითოეული სექტორის საწარმოებსა და დაწესებულებებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების მიზანი მოგების მიღებაა. შესაძლებელია ისინი ყოველთვის ვერ იღებდნენ მოგებას, მაგრამ მათი საქმიანობა ყოველთვის მიზანმიმართულია მოგების მიღებისაკენ სწრაფვით. შინამეურნეობების და სამთავრობო დაწესებულებებისა მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიზანი არაა მოგების მიღება. ისინი უწევენ არასაბაზრო მომსახურებას შინამეურნეობებს გადასახადებისა და საქველმოქმედო შენატანების ხარჯზე. შინამეურნეობები კი წარმოგვიდგებიან როგორც საბოლოო მომხმარებლები და სამუშაო ძალის მიმწოდებლები. ამ სექტორების ურთიერთქმედების პროცესი წარმოადგენს ეკონომიკურ წრებრუნვას. ასეთი მიდგომა მოსახერხებელია იმის დასადგენად, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია ეკონომიკა და როგორია მისი დანარჩენ მსოფლიოზე დამოკიდებულების ხარისხი.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა ეკონომიკური სტატისტიკურ მაჩვენებლების დათვლაში არის ეკონომიკური საქმიანობის შედეგების მთლიანად გათვალისწინება. ამ მიზნის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და გამოწვევაა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში სტატისტიკურ აღრიცხვას დაუქვემდებარებელი ე.წ. "დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის" შესაბამისი გაზომვა.

დაუკვირვებადი ეკონომიკა მიიღება როგორც ეკონომიკური წარმოების საზღვრებში განხორციელებული უკანონო, ფარული, არაფორმალური, ასევე, ნებისმიერი სხვა ისეთი საწარმოო საქმიანობა, რომელიც არ არის მონაცემთა შეგროვების რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებით მოცული. "გამოუკვლევ და უცნობ საქმიანობათა ჯგუფებს უმეტესწილად განეკუთვნება არაკანონიერი, მიწისქვეშა, არაფორმალური და იმ შინამეურნეობათა საქმიანობა, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას თავიანთი მოხმარებისათვის"⁵.

მონაცემთა შეგროვების სისტემატიური სტატისტიკური პროგრამებით მოუცველობის საბაზი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, საწარმოთა მიერ ინფორმაციის არასრულფასოვნად დეკლარირება, მის წარმოდგენაზე უარი, საწარმოს დაურეგისტრირებლობა, მეორე მხრივ კი, თვითონ სტატისტიკური პროგრამების არასრულფასოვნება, არააქტუალიზებული რეგისტრები, ასევე, ობიექტის გამოკვლევის დიდი სირთულე არაფორმალური, განსაკუთრებით კი, არაკანონიერი საქმიანობის შემთხვევებში.


ზოგადად, სხვადასხვა ეკონომიკურ ლიტერატურაში "დაუკვირვებადი ეკონომიკის", მნიშვნელობის პრაქტიკულად სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი "აღურიცხავი ეკონომიკა".

ეს მოვლენა ყველა ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კი ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია, სადაც სწრაფ სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ცვლილებებს, ჩამოყალიბებულ საგადასახადო და საფინანსო სისტემებს თან ახლავს სამეურნეო ერთეულების არარეგისტრირებული საქმიანობის,

⁵ Measuring the Non-Observed Economy, A Handbook, OECD, 2002, გვ. 37

სტატისტიკურ გამოკვლევაში ეკონომიკურ მაჩვენებელთა შეცვლა ან საერთოდ არ წარმოდგენა. ასეთ პირობებში დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა საკმაოდ იზრდება და მისი გავლენა მთლიან შიდა პროდუქტის, ასევე ეროვნული შემოსავლის მოცულობაზე, სტრუქტურაზე, საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანია.

აღურიცხავი ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით მისი ანალიზისათვისა და განსაზღვრისთვის სასარგებლოა წინასწარ მოვიყვანოთ ისეთი ცნებების ეკონომიკური შინაარსის განმარტება, როგორცაა:




შინამეურნეობების არაკორპორაციული საწარმოების შემადგენელი ელემენტია არაფორმალური საქმიანობა

არაფორმალური (არაორგანიზებული) სექტორი შეიძლება დავახასიათოთ როგორც, მომსახურების და საქონლისა მწარმოებელ ერთეულთა ერთობლიობა, რომელთა ძირითადი ამოცანაა თანამშრომელთა შემოსავლით და დასაქმებით უზრუნველყოფა. ამ სუბიექტების საორგანიზაციო დონე ჩვეულებრივად ძალიან დაბალია, ამასთან ერთად მათთვის დამახასიათებელია წარმოების ფაქტორების შრომად და კაპიტალად დაყოფის ძალიან უმნიშვნელო ან სულაც არ არსებობა; ასევე წარმოების მცირე მოცულობა; შრომითი ურთიერთობები - იქ, სადაც ისინი არსებობენ, ეფუძნება არა სახელშეკრულებო ურთიერთობებს ოფიციალური გარანტიით, არამედ შემთხვევით დასაქმებას, პირად, ნათესაურ, ან სოციალურ ურთიერთობებს.

ეროვნულ ანგარიშთა სტატისტიკის 2008 წლის გამოცემა იყენებს შრომის სტატისტიკოსთა მეთხუთმეტე საერთაშორისო კონფერენციის II რეზოლუციაში მოცემულ განმარტებას, რომლის თანახმადაც არაფორმალური სექტორი არის შინამაურნეობათა არაკორპორაციულ საწარმოების ქვეჯგუფი, რომელიც არ არის რაიმე სპეციფიკური ფორმით რეგისტრირებული⁶.

ფარული (ჩრდილოვანი, მიწისქვეშა) ეკონომიკური საქმიანობა განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური მნიშვნელობით მწარმოებლური საქმიანობა, რომელიც ამავე დროს შეიძლება იყოს სავსებით და მთლიანად კანონიერი (იმ პირობით, რომ ის პასუხობს განსაზღვრულ ნორმატივებს და დებულებებს), მაგრამ წინასწარ განზრახვით სახელმწიფო ორგანოებისაგან დამალული შემდეგი მიზეზებით:



განსაზღვრული ადმინისტრაციული პროცედურებისაგან, როგორცაა სტატისტიკური კითხვარების ან სხვა ანგარიშგების ფორმების შევსებაზე თავის არიდება⁷.

⁶ Guidelines for Building Statistical Business Registers in Africa, African Development Bank – Statistics Department, 2014, P. 14

⁷ ბენაშვილი ი., საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგია და მისი სრულყოფის გზები, თბილისი 2010, გვ.16

საწარმოები ზომის მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად: **მსხვილი, საშუალო და მცირე**. 2017 წლამდე საწარმოთა ზომა განისაზღვრებოდა შემდეგი მეთოდოლოგიით: მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ. ლარს. საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე. მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ. ლარს.

2017 წლიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს: **მსხვილ** საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს. **საშუალო** ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ ლარამდე. **მცირე** ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს. ბრუნვა არის საანგარიში პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას

მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები. პროდუქციის გამოშვება განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით. პროდუქციის გამოშვება საბაზისო ფასებში განისაზღვრება შემდეგნაირად: ბრუნვა + კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება- დანახარჯები გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე + სუბსიდიები პროდუქტებზე +/- დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება +/- შუა პროდუქციის მარაგების ცვლილება +/- გადასაყიდად განკუთვნილი საქონლის მარაგების ცვლილება = პროდუქციის გამოშვება საბაზისო ფასებში ვაჭრობაში, საშუამავლო საქმიანობაში, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში) პროდუქციის გამოშვება არის საწარმოს მიერ რეალიზებული საქონლისა (მომსახურების) და მისი ნასყიდობის (შეძენის) ღირებულებებს შორის სხვაობა.

2.4 ევრო SDMX მეტამონაცემების სტრუქტურა /(ESMS) ბიზნეს დემოგრაფია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე შეგვიძლია ვიხილოთ მეტამონაცემები. მათ შორის ბიზნეს დემოგრაფიის შესახებ, რომლის წარმოება უშუალოდ სტატისტიკის ბიზნეს დეპარტამენტის-ბიზნეს რეგისტრის უშუალო დაქვემდებარებაშია. ქვემოთ მოცემულია ევრო SDMX მეტამონაცემების სტრუქტურა :

ევრო SDMX მეტამონაცემების სტრუქტურა (ESMS)

ბიზნეს დემოგრაფია

ცხრილი 6. ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები და მათი წარდგენის წესი

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
1	საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1	საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2	საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3	საკონტაქტო პირი	
1.4	საკონტაქტო პირის ფუნქცია	
1.5	საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	
1.7	საკონტაქტო პირის ტელეფონი	
1.8	საკონტაქტო პირის ფაქსი	-
2	მეტამონაცემები ს განახლება	
2.1	მეტამონაცემები ს ბოლო სერტიფიცირება	2019 წ. 8 თებერვალი
2.2	მეტამონაცემები ს ბოლო	2019 წ. 8 თებერვალი

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
	გამოქვეყნება	
2.3	მეტამონაცემები ს ბოლო განახლება	2019 წ. 8 თებერვალი
3	სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1	მონაცემების აღწერა	<p>ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლების ფარგლებში ქვეყნდება 3 მაჩვენებელი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დაბადება; 2. გარდაცვალება; 3. გადარჩენა. <p>აღნიშნული მონაცემები ქვეყნდება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით; 2. ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმების მიხედვით; 3. რეგიონების მიხედვით.
3.2	კლასიფიკაციის სისტემა	მონაცემები ეყრდნობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნულ კლასიფიკატორს (NACE Rev. 2).
3.3	სექტორის მოცვა	ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები მოიცავს მთელ ბიზნეს სექტორს.
3.4	სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	<p>აქტიური საწარმო – საწარმო რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. საწარმოს დაბადება – ბიზნეს დემოგრაფიული მოვლენა, რომლის დროსაც ადგილი აქვს სრულიად ახალი საწარმოო ფაქტორების თავმოყრას ან საწარმოს გააქტიურებას მას შემდეგ, რაც შეჩერებული ჰქონდა ეკონომიკური საქმიანობა 2 წელზე მეტი ხნით.</p> <p>საწარმოს გარდაცვალება – ბიზნეს დემოგრაფიული მოვლენა, რომლის დროსაც ადგილი აქვს წარმოების ფაქტორების არსებული კომბინაციის დაშლას. საწარმოს გადარჩენა – ბიზნეს დემოგრაფიული მოვლენა, რომლის დროსაც საწარმო ინარჩუნებს ეკონომიკურ აქტიურობას როგორც თავისი დაბადების, ასევე მომდევნო წელს/წლებში.</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>დასაქმებულთა რაოდენობა – საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოს შემთხვევაში – დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.</p> <p>საწარმოთა დაბადება (%) – (დაბადების მაჩვენებელი) – აქტიურ საწარმოთა შორის ახლად დაბადებულ საწარმოთა წილი, გამოხატული %-ში.</p> <p>საწარმოთა გარდაცვალება (%) – (გარდაცვალების მაჩვენებელი) – აქტიურ საწარმოთა შორის გარდაცვლილ საწარმოთა წილი, გამოხატული %-ში.</p> <p>გადარჩენის მაჩვენებელი (%) – $t-n$ წელს დაბადებულ საწარმოთა შორის იმ საწარმოთა წილი, რომლებიც t წელსაც აქტიურები არიან, გამოხატული %-ში.</p>
3.5	სტატისტიკური ერთეული	<p>საწარმო – ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს). საწარმო ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობის ერთ ან რამდენიმე სახეს ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. საწარმო შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი.</p>
3.6	სტატისტიკური პოპულაცია	<p>ყველა აქტიური საწარმო, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებული არ არის ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის (NACE Rev. 2) შემდეგ სექციებთან:</p> <p>O – სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება;</p> <p>T – შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის;</p> <p>U – ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.</p>
3.7	საანგარიშო არეალი	საქართველოს მთელი ტერიტორია, გარდა ოკუპირებული რეგიონებისა.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
3.8	დროის მოცვა	2012 წლიდან.
3.9	საბაზო პერიოდი	-
4	ზომის ერთეული	რაოდენობა, %.
5	საანგარიშო პერიოდი	წელი.
6	ინსტიტუციური მანდატი	
6.1	სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები	<p>საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ"; http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf</p> <p>სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; http://geostat.ge/cms/site_images/programa-2018.pdf</p> <p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_debuleba.pdf</p>
6.2	მონაცემთა გაზიარება	-
7	კონფიდენციალურობა	
7.1	კონფიდენციალურობა – პოლიტიკა	<p>1. საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ":</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. <p>http://geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf</p> <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/law/konfidencialurobis%20brzaneba.pdf</p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/law/microdata%20brzaneba.pdf</p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</p>
7.2	კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა	<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.
8	გამოქვეყნების პოლიტიკა	

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
8.1	გამოქვეყნების კალენდარი	მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2	გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა	http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=22&lang=geo
8.3	მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
9	გავრცელების სიხშირე	წელი.
10	ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა	
10.1	პრეს-რელიზები	-
10.2	პუბლიკაციები	-
10.3	ონლაინ მონაცემთა ბაზა	ონლაინ მონაცემთა ბაზა წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-საიტზე, MS EXCEL-ის ფორმატში: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2656&lang=geo
10.4	მიკრომონაცემებზე ხელმისაწვდომობა	-
10.5	სხვა	-

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
10.6	დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე	<p>მეთოდოლოგია (ევროსტატის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ბიზნეს დემოგრაფიის სტატისტიკაზე) ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-საიტზე:</p> <p>http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=61&lang=geo</p>
10.7	დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ	-
11	ხარისხის მართვა	
11.1	ხარისხის უზრუნველყოფა	<p>სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).</p>
11.2	ხარისხის შეფასება	<p>საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.</p>
12	შესაბამისობა	
12.1	მომხმარებელთა მოთხოვნები	<p>მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მკვლევარები და სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, მედია საშუალებები და სხვ.</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2	მომხმარებელთა კმაყოფილება	მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა არ ჩატარებულა. თუმცა იგი მუდმივად კონტროლდება ფორმალური და არაფორმალური კონტაქტების მეშვეობით.
12.3	სისრულე	მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
13	სიზუსტე და სანდოობა	
13.1	ზოგადი სიზუსტე	-
13.2	შერჩევითი ცდომილება	-
13.3	არაშერჩევითი ცდომილება	-
14	დროულობა და პუნქტუალობა	
14.1	დროულობა	-
14.2	პუნქტუალობა	-

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
15	თანამიმდევრულობა და შესადარისობა	
15.1	შედარებითობა – გეოგრაფიული	საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო მეთოდოლოგიას.
15.2	შესადარისობა – დროში	დროითი მწკრივის მონაცემები ერთმანეთთან შესადარისია.
15.3	თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის	მონაცემები თანამიმდევრულია.
	თანამიმდევრულობა – შიდა	მონაცემები თანამიმდევრულია.
16	დანახარჯები და დატვირთვა	მონაცემების დამუშავება ხდება შიდა რესურსებზე დაყრდნობით, შესაბამისად მასზე არანაირი დამატებითი ხარჯი არ გაიწევა.
17	მონაცემთა გადასინჯვა	
17.1	მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა	გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: http://www.geostat.ge/cms/site_images/Revision%20policy_Geostat_20%20July_final.pdf
17.2	მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა	მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.
18	სტატისტიკური დამუშავება	

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
18. 1	პირველადი მონაცემები	მონაცემების ძირითადი წყაროა ბიზნეს რეგისტრი.
18. 2	მონაცემთა შეგროვების სიხშირე	წლიური.
18. 3	მონაცემთა შეგროვება	მონაცემები ძირითადად ეყრდნობა ადმინისტრაციულ წყაროებს და ბიზნეს რეგისტრს.
18. 4	მონაცემთა კონტროლი	–
18. 5	მონაცემთა გაანგარიშება	–
18. 6	მოსწორება	–
19	კომენტარი	–

თავი 3. საქართველოს ბიზნეს რეგისტრის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი

3.1 საწარმოთა დეკლარირებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი 2012-2018 წლებში

ბიზნეს რეგისტრი გვთავაზობს სხვადასხვა სახის სტატისტიკურ ინფორმაციას საწარმოთა შესახებ, როგორებიცაა: საქმიანობის სახეების მიხედვით, საკუთრების ფორმების მიხედვით, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, რეგიონების მიხედვით. ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე შეგვიძლია გავეცნოთ ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილშია მოცემულია საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები. ირკვევა, რომ 2012 წელს რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა 499.3 ათას შეადგენდა, ხოლო 2018 წელს, ნაზარდი ჯამით, 723 ათასს. მათ შორის მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა 2012 წელს იყო 127.6 ათასი, ხოლო 2018 წელს 183.6 ათასი.

ხოლო რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა 2012 წელს შეადგენდა 470.6 ათასს, 2018 წლის ბოლოს კი, ნაზარდი ჯამით იყო 681.4. ასევე, მათ შორის მოქმედი ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა 2012 წელს იყო 1245.3 ათასი, ხოლო 2018 წელს, ნაზარდი ჯამით, 181.0.

ცხრილი 7. რეგისტრირებულ ორგანიზაციათა, სუბიექტთა და ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა 2012-2018 წლებში


	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018

რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით - ნაზარდი ჯამი, ათასი	499.3	534.9	571.9	596.9	634.2	679.5	723.0
მათ შორის:							
მოქმედ ორგანიზაციათა რაოდენობა, ათასი	127.6	131.0	134.8	164.4	167.5	165.2	183.6
რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა წლების მიხედვით - ნაზარდი ჯამი, ათასი	470.6	504.0	539.2	562.2	596.5	639.1	681.4
მათ შორის:							
მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	125.3	128.4	132.1	161.6	164.8	162.8	181.0
ახლადრეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით, ათასი	42.6	46.7	47.1	45.9	48.4	52.7	51.8
მათ შორის:							
ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, ათასი	40.9	44.4	45.2	43.7	45.2	49.9	50.3

ზოგადად, საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა არის ერთ-ერთი ინდიკატორი საწარმოო ზომის გასაგებად, ასევე ბიზნეს რეგისტრში მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებისთვის. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემულია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. 1999-2019 ახასიათებს დადებითი, აღმავალი ტრენდი. თვალშისაცემია, ასევე, 2017 წელი, სადაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა პიკს აღწევს და უტოლდება 700 ათას კაცს, თუმცა მისი მომდევნო წლებში, 2018-2019(1

კვარტალი), იკლებს და უტოლდება 661 ათას კაცს 2019 წლის 1 კვარტლის მონაცემებით კი გაზრდილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. ტოლია 663 ათასზე.

ნახაზი 1. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.



ბიზნეს რეგისტრისთვის, საწარმოო ზომის გასაგებად, მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური სუბიექტის ბრუნვის მოცულობის გაგება. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა , სადაც მოცემული გვაქვს ინფორმაცია ბიზნეს სექტორის ბრუნვის შესახებ. ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1999 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, ის დადებითი და აღმავალი ტრენდით ხასიათდება.

მაგალითად, 2017 წელს, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა ტოლი იყო 71.7 მილიარდი ლარი, ხოლო 2018 წელს 85.5 მილიარდი ლარი. წინა წლებში და თანდათანობით იკლებს.

შეჯამებისთვის შეგვიძლია დავასკვნათ, ბიზნეს სექტორი საქართველოში თანდათანობით ვითარდება, რაც თავის მხრივ აისახება ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობაში.

გრაფიკი 2. ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა.



ნახაზი 2. საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები

	2014	2015	2016	2017	2018 I	2018 II	2018 III	2018 IV	2019 I
ბრუნვა, მილიარდი ლარი	50.1	57.0	64.1	71.7	18.0	19.9	21.8	25.8	22.9

გამოშვებული პროდუქცია, მილიარდი ლარი	26.1	30.0	34.2	38.2	8.7	10.0	10.7	11.5	9.5
დამატებული ღირებულება, მილიარდი ლარი	12.8	14.8	16.8	19.0
შუალედური მოხმარება, მილიარდი ლარი	13.2	15.2	17.4	17.4
ფიქსირებული აქტივები, მილიარდი ლარი	23.2	24.8	28.2	34.9
დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი	592.1	626.7	666.8	708.2	637.0	656.5	665.5	684.5	663.8
დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	800.5	896.8	938.3	019.7	106.4	150.4	186.7	318.7	151.9
				1	1	1	1	1	1

მოცემული გვაქვს საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები, სადაც ნაჩვენებია საწარმოთა ბრუნვის, გამოშვებული პროდუქციის ღირებულების, დამატებული

ღირებულების, შუალედური მოხმარების, ფიქსირებული აქტივების, დასაქმებულთა რაოდენობის, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მაჩვენებლები. (2014-2019წ. I კვარტალი). ზემოთ ჩამოთვლილთაგან, თითოეულ თითოეულ სექციაში ზრდადი და დადებითი ტენდენციაა, წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით.

განვიხილოთ სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრში მოცემული სხვა სტატისტიკური ინფორმაციები:

ცხრილი 9. ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და ხვედრითი წილები საქმიანობის სახეების მიხედვით 2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით

საქმიანობის სახე	რეგისტრირებული		აქტიური	
	სუბიექტი		სუბიექტი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სულ	726449	100	180618	100
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	6884	0.95	1537	0.85
თევზჭერა, მეთევზეობა	386	0.05	102	0.06
სამთომშობვებითი მრეწველობა	1569	0.22	739	0.41
დამამუშავებელი მრეწველობა	31569	4.35	12526	6.94
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	482	0.07	137	0.08
მშენებლობა	18175	2.50	7472	4.14

ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	138172	19.02	61571	34.09
სასტუმროები და რესტორნები	14446	1.99	6521	3.61
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	20002	2.75	9859	5.46
საფინანსო საქმიანობა	4313	0.59	2035	1.13
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	28168	3.88	14318	7.93
სახელმწიფო მმართველობა	1829	0.25	407	0.23
განათლება	6805	0.94	4290	2.38
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	5680	0.78	2987	1.65
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	19844	2.73	5499	3.04
საქმიანობა უცნობია	428125	58.93	50618	28.02

მოცემული ცხრილის მიხედვით, სულ ბიზნეს რეგისტრში რეგისტრირებულია 726449 სუბიექტი, რომელთაგან აქტიურია მხოლოდ 180618, სადაც ყველაზე დიდი ნაწილი მოდის ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის საქმიანობის სუბიექტებზე, რაც საერთო ნაწილის დაახლოებით 34.9% შეადგენს.

იქედან გამომდინარე რომ ადმინისტრაციული წყაროებიდან ბიზნეს რეგისტრისთვის მოწოდებული ინფორმაცია არასრულყოფილია და ასევე ბიზნეს რეგისტრის რესურსების ნაკლებობის გამო ვერ ხდება სხვადასხვა კვლევაში ჩართვა დიდი ოდენობით იმ

საწარმოებისა, რომელთა შესახებ არ არის სრულყოფილი ინფორმაცია, დიდია წილი იმ ეკონომიკური აქტიური სუბიექტებისა რომელთა საქმიანობაც ჯერ კიდევ უცნობია. შეადგენს-28.02%.

შემდეგი საქმიანობის სახე მოცვის მიხედვით არის დამამუშავებელი მრეწველობა, რომლის პროცენტული წილი აქტიურ ბიზნეს სუბიექტებს შორის არის - 6.94%.დამამუშავებელი მრეწველობის შემდეგ მოდის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რომლის წილი არის - 5.46%. მშენებლობა არის ერთ-ერთი მზარდი სექტორი საქართველოს ეკონომიკაში. დღესდღეისობით მშენებლობით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა , ეკონომიკურად აქტიური სუბიექტების რაოდენობის 4.14 %-ია.

ბოლო წლებში, ტურიზმის ზრდასთან ერთად იზრდება იმ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა, რომლებიც საქმიანობენ მოცემულ სექტორში. მათი წილი აქტიურ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის 3.61%-ია.

ცხრილი 10. ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და ხვედრითი წილები საკუთრების ფორმების მიხედვით 2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით

საკუთრების ფორმა	რეგისტრირებული სუბიექტი		აქტიური სუბიექტი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სულ	726449	100.0	180618	100.0
კერძო პირები*	715730	98.52	176497	97.72
კერძო პირი-საქართველოს მოქალაქე	670687	92.32	164703	91.19
უცხოელი კერძო პირი	36926	5.08	9044	5.01
კერძო შერეული**	8117	1.12	2750	1.52

სახელმწიფო***	6123	0.84	2861	1.58
მუნიციპალიტეტი	1837	0.25	618	0.34
საკუთრების სხვა ტიპი	2759	0.38	642	0.36

*კერძო პირი - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი კერძო პირის საკუთრებაშია;

**კერძო შერეული - ეკონომიკური სუბიექტის საწესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობა;

***სახელმწიფო - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია.

ზემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია სტატისტიკური ინფორმაცია ბიზნეს სუბიექტთა შესახებ საკუთრების ფორმების შესახებ.


ნათლად ჩანს, რომ აქტიური სუბიექტებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით იმ სუბიექტებზე მოდის, რომლებიც კერძო პირების მფლობელობაში არიან. შეადგენს დაახლოებით 97.72%. ხოლო ამ კერძო პირებიდან მთლიან ეკონომიკურ აქტიურ სუბიექტებში საქართველოს მოქალაქეებზე მოდის 91.19%, უცხოელ კერძო პირზე - 5.01. ხოლო კერძო შერეულ საწარმოები შეადგენენ 1.52%.

სახელმწიფო საკუთრებაშია აქტიური სუბიექტების 1.58%. მუნიციპალიტეტი-0.34.

ხოლო საკუთრების სხვა ტიპში შემავალი ეკონომიკური სუბიექტები შეადგენს 0.36%-ს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე შეგვიძლია ნათლად ვიხილოთ ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია.

ნახაზი 3. ეკონომიკური სუბიექტები საკუთრების ფორმების მიხედვით, ათასი კაცი




ცხრილი 11. ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და ხვედრითი წილები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	რეგისტრირებული სუბიექტი		აქტიური სუბიექტი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სულ	726449	100.0	180618	100.0
კომერციული იურიდიული პირები	254445	35.03	76212	42.20
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2759	0.38	231	0.13
კომანდიტური საზოგადოება	188	0.03	21	0.01

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	243659	33.54	74856	41.44
სააქციო საზოგადოება	2578	0.35	876	0.49
კოოპერატივი	5261	0.72	228	0.13
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	26785	3.69	3716	2.06
ინდივიდუალური მეწარმე	433689	59.70	96866	53.63
სხვა	8460	1.16	1417	0.78
საჯარო სამართლის სუბიექტები	3070	0.42	2407	1.33

მოცემული ცხრილიდან ირკვევა, რომ საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტებიდან , ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ყველაზე მეტი არის ინდივიდუალური მეწარმე , რაც მოქმედი სუბიექტების 53.63% შეადგენს. შემდგომ , ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩევა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) – 41.44% შეადგენს, მესამე ადგილს კი იკავებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები - 2.06%.

ნახაზი 4. ეკონომიკური სუბიექტების სტრუქტურა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით



ცხრილი 12. ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და ხვედრითი წილები რეგიონების მიხედვით 2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით

რეგიონები	რეგისტრირებული სუბიექტი		აქტიური სუბიექტი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სულ	726449	100.0	180618	100.0

ქ. თბილისი	318439	43.84	76738	42.49
აფხაზეთის ა.რ.	163	0.02	12	0.01
აჭარის ა.რ.	63755	8.78	18179	10.06
გურია	17516	2.41	4718	2.61
იმერეთი	98831	13.60	24425	13.52
კახეთი	44616	6.14	11080	6.13
მცხეთა-მთიანეთი	13488	1.86	3234	1.79
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6102	0.84	1312	0.73
სამეგრელო-ზემო სვანეთი	56113	7.72	13153	7.28
სამცხე-ჯავახეთი	21759	3.00	5473	3.03
ქვემო ქართლი	53821	7.41	13557	7.51
შიდა ქართლი	31846	4.38	8737	4.84


რეგიონული განაწილების მიხედვით ჩანს, რომ ეკონომიკური სუბიექტები ყველაზე დიდი რაოდენობით 42.49%-ით ქ.თბილისზე მოდის.

ქ.თბილისის შემდეგ ბიზნეს სუბიექტები ყველაზე დიდი რაოდენობით იმერეთის რეგიონშია, დაახლოებით 13.52%.

იმერეთის რეგიონის შემდეგ არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც ეკონომიკურად აქტიური სუბიექტები მთლიანი რაოდენობის 10.06%-ია.

ქვემო ქართლშია ეკონომიკური აქტიური სუბიექტების 7.51 % , თითქმის თანაბარია სამეგრელო-ზემო სვანეთში, სადაც მოქმედი ბიზნეს სუბიექტები 7.28%-ია.

ნახაზი 5. ეკონომიკური სუბიექტების განაწილება რეგიონების მიხედვით



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, განთავსებულია ბიზნეს რეგისტრის სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური ანგარიში/რეპორტი, რომლებიც გვებმარება თემატურად, მარტივად მივიღოთ ინფორმაცია ორგანიზაციათა შესახებ. ესენია:

- 1 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა სექციების მიხედვით NACE1
- 2 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა სექციების მიხედვით NACE2
- 3 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით
- 4 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით
- 5 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა რეგიონების მიხედვით
- 6 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

7 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით საქმიანობის სახეების ჭრილში - ნაზარდი ჯამი

8 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით საქმიანობის სახეების ჭრილში - კონკრეტულ წელს რეგისტრირებული

9 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჭრილში - ნაზარდი ჯამი

10 - რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჭრილში - კონკრეტულ წელს რეგისტრირებული


სტატისტიკურმა ბიზნეს რეგისტრის ვალდებულებაა დაარეგისტრიროს ყველა სუბიექტი, რომელიც დაკავებულია ეკონომიკური საქმიანობით (ანუ საქმიანობით, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს მთლიან შიდა პროდუქტის წარმოებაში).

3.2 საწარმოთა დაბადებისა და გარდაცვალების მაჩვენებლების ანალიზი საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით

საქსტატის ბიზნეს რეგისტრის სამმართველო ასევე აწარმოებს ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლებს, რომლებიც ქვემოთაა განხილული.

საწარმოთა დაბადება და გარდაცვალება 2014-2017 წლებში


ნახაზი 6. საწარმოთა დაბადება და გარდაცვალება 2014-2017 წლებში



ზემოთ მოცემულ გრაფიკზე ნათლად ჩანს საწარმოთა დაბადება და გარდაცვალების დინამიკა 2014-2017 წლების განმავლობაში. 2014 წლის მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ საწარმოთა გარდაცვალება რაოდენობრივად აჭარბებდა საწარმოთა დაბადებას. სრულიად განსხვავებულია 2015 წლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ამ წელს თითქმის 30 000-ით აჭარბებდა საწარმოთა დაბადება- გარდაცვალებას. 2017 წელს დადების რიცხვი აჭარბებს გარდაცვალების რიცხვს, რაოდენობრივად კი თითქმის 2016 წლის მონაცემების მსგავსია

საწარმოთა გადარჩენა წლების მიხედვით


ნახაზი 7. საწარმოთა გადარჩენა წლების მიხედვით



მოცემულ გრაფიკზე, შეგვიძლია ვნახოთ საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებლები წლების მიხედვით. მოცემული გვაქვს 2012-2015 დაბადებულთა საწარმოთა გადარჩენის დინამიკა. მაგალითად, ჩანს რომ 2013 წელს დაბადებულ საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი 2017 წლისთვის არის 38%. 2014 წელს დაბადებული საწარმოების გადარჩენის პროცენტული წილი 2017 წელს კი არის 45%მდე.

საწარმოთა დაბადება საქმიანობის სახეების მიხედვით 2012-2017 წლები


ნახაზი 8. საწარმოთა დაბადება საქმიანობის სახეების მიხედვით



მოცემულ დიაგრამაზე ჩანს საწარმოთა დაბადების მაჩვენებლების საქმიანობის სახეების მიხედვით 2012-2017 წლებში. ირკვევა, რომ 2012 წელს ყველაზე მეტი რაოდენობით საბითუმო და საცალო ვაჭრობის დარგში შექმნილა საწარმოები, ეს დარგი ინარჩუნებს ლიდერობას მომდევნო წელსაც, თუმცა უკვე 2014 წლიდან მას უსწრებს ისეთი საწარმოთა ჯგუფი, რომელთა საქმიანობა ჯერ-ჯერობით უცნობია. ასეთ ეკონომიკურ სუბიექტებს ახასიათებთ აღმავალი ტრენდი და ლიდერობას ინარჩუნებს მომდევნო წლებში. უკვე 2017 წელს პირველ ადგილზეა - დაახლოებით 17 000 მდე, მეორე ადგილს იკავებს - საბითუმო და საცალო ვაჭრობა- დაახლოებით - 13 000 მდე, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა და სხვა სფეროებში მოღვაწე ბიზნეს სუბიექტები.

საწარმოთა გარდაცვალება საქმიანობის სახეების მიხედვით 2014-2017 წლები


ნახაზი 9. საწარმოთა გარდაცვალება საქმიანობის სახეების მიხედვით



საწარმოთა დაბადების მაჩვენებელთან მსგავსია გარდაცვალების მაჩვენებლებიც საწარმოთა საქმიანობის სახეების მიხედვით. მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ 2014 წელს საწარმოთა გარდაცვალება ისეთ ეკონომიკური სუბიექტების, რომელთა საქმიანობა უცნობია აღემატება საბითუმო და საცალო ვაჭრობის დარგში გარდაცვლილ საწარმოთა რიცხვს 2015 წლის ჩათვლით. შემდეგ კი იცვლება სურათი და გარდაცვლილი საქმიანობით უცნობი ეკონომიკური სუბიექტები იკავებს მეორე ადგილს- დაახლოებით 7000 რიცხვით. შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობით დაკავებული საწარმოთა მაჩვენებელი, რომელიც 2014-2017 წლებში ხასიათდება თითქმის უცვლელი, სწორი ტრენდით.

2017 წელს დაბადებულ საწარმოთა განაწილება რეგიონების მიხედვით (%)


ნახაზი 10. 2017 წელს დაბადებულ საწარმოთა განაწილება რეგიონების მიხედვით.



ზემოთ მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს 2017 წელს დაბადებულ საწარმოთა განაწილებას რეგიონების მიხედვით. ირკვევა, რომ 2017 წელს ყველაზე დიდი რაოდენობით ბიზნეს სუბიექტები დაიბადა ქ. თბილისში, რაც იკავებს მთლიანი რაოდენობის 41.1%. შემდეგ მოდის იმერეთის მხარე, სადაც დაბადებულთა პროცენტული მაჩვენებელი 14.03% უტოლდება. იმერეთის შემდეგ არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაბადებული საწარმოთა წილი, რაც ტოლია - 10.28%. ამ წელს დაბადებული დანარჩენი საწარმოები მოდის საქართველოს სხვა რეგიონებზე.

2017 წელს გარდაცვლილ საწარმოთა განაწილება რეგიონების მიხედვით (%)


ნახაზი 11. 2017 წელს გარდაცვლილ საწარმოთა განაწილება რეგიონების მიხედვით.



2017 წელს გარდაცვლილ საწარმოთა განაწილება რეგიონების მიხედვით მსგავსია დაბადებულ საწარმოთა განაწილების. ქ. თბილისში არის ყველაზე მეტი საწარმოთა გარდაცვალების მაჩვენებელი და უტოლდება - 44.22%, შემდგომ არის იმერეთის რეგიონი- 13.26%-ით, მესამე ადგილს იკავებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში გარდაცვლილი საწარმოები- 10.3%. შემდეგ არის გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი და კახეთი და სსხვა საქართველოს რეგიონები.

საწარმოთა გარდაცვალება რეგიონების მიხედვით

ნახაზი 12. საწარმოთა გარდაცვალება რეგიონების მიხედვით




ზემოთ მოცემული დიაგრამა კი გვიჩვენებს საწარმოთა გარდაცვალებას 2014-2017 წლებში. მოცემული წლების დიაპაზონში, 2014 წელს ყველაზე მეტი რაოდენობით გარდაიცვალა საწარმო - 29 436 (ათასი). რეგიონით კი ყველაზე დიდი რაოდენობით ქ. თბილისში, იმერეთსა და აჭარის ა.რ.-ში. მომდევნო წლებში კლების ტენდენციაა, თუმცა უკვე 2017 წელს მცირედით იზრდება გარდაცვლილ საწარმოთა რაოდენობა და შეადგენს- 24 591 (ათასი), რაც 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით კვლავ მცირეა.

საწარმოთა დაბადება დარგების მიხედვით


ნახაზი 13. საწარმოთა დაბადება დარგების მიხედვით

რაც შეეხება საწარმოთა დაბადებას დარგების მიხედვით 2014-2017 წლებში ყველაზე დიდი რაოდენობით ისეთ ბიზნეს სუბიექტებზე მოდის, რომელთა საქმიანობაც უცნობია. მოცემული წლების დინამიკაში მეორ ადგილს იკავებს საბითუმო და საცალო ვაჭრობაში მოღვაწე საწარმოები, შემდეგ მოდის, გამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, განთავსების საშუალებები და ასევე დიდი რაოდენობით სხვა დარგებით მოქმედი სუბიექტები.



საწარმოთა გარდაცვალება დარგების მიხედვით

ნახაზი 14. საწარმოთა გარდაცვალება დარგების მიხედვით



საწარმოთა დაბადების მსგავსად დარგების მიხედვით, მსგავსი სურათია ბიზნეს სუბიექტთა გარდაცვალებისას 2014-2017 წლებში. თუმცა არის მცირედი განსხვავება. უკვე 2016 წლიდან პირველ ადგილზეა იმ საწარმოების გარდაცვალება რომლებიც ფუნქციონირებენ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, ხოლო მეორე ადგილს იკავებს საქმიანობით უცნობი საწარმოები და შემდეგ სხვა დარგები.

ეკონომიკური სუბიექტების ძებნა სტატისტიკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე

დანართი 1

The screenshot shows a search form on a website. At the top, there are two input fields: "საიდენტიფიკაციო ნომერი" (Identification number) and "ორგანიზაციის დასახელება" (Organization name). Below these is a section for "ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა" (Organizational-legal form) with a dropdown menu and "ხელმძღვანელი" (Director) with an input field. The form is divided into two main sections: "იურიდიული მისამართი" (Legal address) and "ფაქტობრივი მისამართი" (Factual address). Each section has fields for "რეგიონი" (Region), "მუნიციპალიტეტი/ქალაქი" (Municipality/City), and "მისამართი" (Address). Below these are sections for "საქმიანობა NACE 1" and "საქმიანობა NACE 2", each with fields for "საქმიანობის კოდი" (Activity code) and "საქმიანობის დასახელება" (Activity name). At the bottom, there is a field for "საკუთრების ფორმა" (Ownership form) and a checkbox for "აქტიური ეკონომიკური სუბიექტები" (Active economic entities). The form ends with three buttons: "ძიება" (Search), "ძიების შეზღუდვა" (Limit search), and "გაუქმება" (Cancel).

საქართველოს სტატისტიკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ონლაინ ბაზა, საიდანც მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად შეუძლია ამოიღოს ინფორმაცია. ამისათვის საჭიროა გავხსნათ ზემოთ მოცემული ძებნის გვერდით და სასურველი პარამეტრების შეყვანის შემდგომ დაგვკლიკოთ „ძიება“-ზე.

საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერი, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა, ორგანიზაციის დასახელება, ხელმძღვანელი, პარტნიორი, იურიდიული და

ფაქტიური მისამართი, საქმიანობის კოდი და დასახელება ორივე (NACE Rev1.1 და NACE Rev.2) ის მიხედვით, საკუთრების ფორმა, სურვილისამებრ ვირჩევთ მხოლოდ აქტიურ ეკონომიკურ სუბიექტებს - ჩამოთვლილი მაჩვენებლები არის იმ გრაფების დასახელებები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია მივიღოთ , დავფილტროთ მონაცემები.

3.3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრში არსებული ნაკლოვანებები და განვითარების შესაძლებლობები

ისევე როგორც თითქმის ყველა ადამიანის მიერ მართულ პროცეში, არც სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრია გამონაკლისი, და რა თქმა უნდა არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები თუ ხარვეზები, რომლებიც, თავის მხრივ, აღმოფხვრადია. თითქმის შეუძლებელია უნაკლო და იდეალური რეგისტრის შექმნა. ქვემოთ მოყვანილია გარკვეული ხარვეზები, რომლის აღმოფხვრისთვისაც ეხლაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში :

1. სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტის რეგისტრაციისას შესაძლებელია დაშვებული იქნას მექანიკური თუ ტექნიკური შეცდომები, რომლებიც, თავის მხრივ, აისახება რეგისტრში იმ ინფორმაციასთან ერთად, რაც მოდის ადმინისტრაციული წყაროებიდან.

მისი აღმოფხვრის გზაა სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ბაზის სისტემატიური შედარება ადმინისტრაციული წყაროს ბაზასთან, რადგან შესაძლებელია წყაროს ბაზაში გასწორებულ იქნას ხარვეზები. ასევე რეგისტრის ბაზის განახლება, გადახედვა, რომელიც საკმაოდ რთული პროცესია და მოითხოვს დიდ რესურსს.

2. ოპერატორის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომები.

მისი აღმოფხვრის გზაა ასევე ბაზების სისტემატიური გადახედვისას და განახლებისას აღმოჩენა და ხარვეზის აღმოფხვრა

3. შესაძლებელია სრულიად არიყოს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრში ჩართული გარკვეული ინფორმაცია და მონაცემი.

აღმოფხრისთვის საჭიროა ადმინისტრაციული წყაროების ბაზების სისტემატური გადახედვა, შესწავლა.

4. შესაძლებელია ასევე გარკვეულ ნაკლოვანებად იქნეს აღქმული საწარმოების არაზუსტი საქმიანობის სფეროები. მიზეზი შესაძლებელია იყოს ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის შეცვლა, ხოლო რეგისტრის ბაზის არგანახლება.

აღმოფხრისთვის სასურველია ტარდებოდეს დიდი მოცვის კვლევები, ასევე ხშირი ბაზების განახლება ადმინისტრაციული წყაროებთან შედარებით.

5. სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრში ხშირია შემთხვევები როდესაც ერთი ეკონომიკური სუბიექტი არაერთხელაა ჩართული ბაზაში(ე.წ დუბლირებული სუბიექტები).

მოცემული ხარვეზის მინიმუმამდე დაყვანისთვის სასურველია შეიქმნას ეფექტური ტექნიკური მხარდაჭერა, რომელიც შეძლებს მსგავსი შეცდომების აღმოჩენას.

ასევე ადამიანური რესურსით მათი მექანიკური პოვნა და შემდგომ დამუშავება, ისე რომ არ დაიკარგოს ის ინფორმაცია, რომელიც ორივე(დუბლირებულ) სუბიექტის ბარათზეა შენახული.

6. შესაძლებელია ასევე გარკვეულ ეკონომიკურ სუბიექტს სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრში გააჩნეს სტატუსი : მოქმედი ან სხვა და რეალობაში ის უკვე ლიკვიდირებული იყოს.

ამიტომ, საჭიროა ინფორმაციის სისტემატიური მიღება და განახლება ადმინისტრაციული წყაროებიდან.

7. შესაძლებელია მინიჭებული ქონდეს არასწორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საკუთრების ფორმა, არაზუსტი ინფორმაცია დამფუძნებელთა შესახებ, არაზუსტი ტერიტორიული კოდი/მისამართი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემი გვიჩვენებს, რომ სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრიც არ არის გამონაკლისი და საჭიროა მისი დახვეწა და განახლება ისე, რომ მიუხლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ აქტიურად

მიმდინარეობს ბიზნეს რეგისტრის ეფექტურობის ზრდაზე მუშაობა და საერთაშორისო პრაქტიკით ხელმძღვანელობა.

ყოველთვიური კვლევა - CATI

ბიზნეს რეგისტრში არსებული ბაზები ყოველთვის საჭიროებს გადახედვას, კორექტირებებსა და განახლებებს. შესაბამისად, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად მიმდინარეობს ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის აქტუალიზება ყოველთვიურად საჯარო რეესტრიდან, შემოსავლების სამსახურიდან, სხვადასხვა სტატისტიკური და კომპიუტიზირებული სატელეფონო კვლევებიდან (CATI) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

CATI-ის კვლევა ითვალისწინებს ყველა იმ ეკონომიკური სუბიექტის გამოკვლევას, რომელთა საქმიანობაც უნცობია ხუთნიშნა დონეზე (იმ პირობით, რომ სუბიექტის ტელეფონის ნომერი ბიზნეს რეგისტრს აქვს). CATI-ის კვლევის შედეგად ვიღებთ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის, ადგილობრივი ერთეულებისა და საფირნიშე დასახელების შესახებ. აღნიშნულ კვლევაში ერთჯერადად ჩართულია ის ორგანიზაციებიც, რომლებიც არ მოიძებნა შემოსავლების სამსახურისა და საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზებში (უცნობი საგადასახადოს კოდით).

ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს დუბლიკატების ძიებისა და აღმოფხვრის, პარტნიორი ქვეყნების, სამართლებრივი და საკუთრების ფორმების დადგენის, შეუვსებელი ინფორმაციის მოძიების და სხვა სამუშაოები.

დასკვნა

ოფიციალური სტატისტიკის წარმოება და შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის შემდეგ ძირითად პრინციპებს: მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა; პროფესიული

სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა; ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა; სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება; სტატისტიკური წყაროს არსებობა; კონფიდენციალურობა; საკანონმდებლო ბაზის საჯაროობა; ეროვნული კოორდინაცია; საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება; საერთაშორისო თანამშრომლობა.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში იზრდება მოთხოვნა ეკონომიკურ სტატისტიკაზე, ფართოვდება ეკონომიკური სტატისტიკის მოცვის არეალი ის უფრო კომპლექსური ხდება. ამის გამო საჭირო ხდება უფრო მეტი დეტალური ინფორმაციის წარმოება მიმდინარე პროცესების შესახებ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის წარმოება, რომელიც სტატისტიკური ინფრასტრუქტურის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ისევე როგორც თითქმის ყველა ადამიანის მიერ მართულ პროცეში, არც სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრია გამონაკლისი, და რა თქმა უნდა არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები თუ ხარვეზები, რომლებიც, თავის მხრივ, აღმოფხვრადია. თითქმის შეუძლებელია უნაკლო და იდეალური რეგისტრის შექმნა.

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის სტრუქტურა დაყოფილია ქვე სისტემებად, რომლებიც მთლიანობაში, ჰარმონიზებული მუშაობის შედეგად ქმნიან ერთიან, საბოლოო ბაზას, რომელიც უშუალოდ მიეწოდება მის მომხმარებელს. არსებული ბაზები ყოველთვის საჭიროებს გადახედვებს, კორექტირებებსა და განახლებებს. შესაბამისად, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის აქტუალიზება ყოველთვიურად საჯარო რეესტრიდან, შემოსავლების სამსახურიდან, სხვადასხვა სტატისტიკური და კომპიუტიზირებული სატელეფონო კვლევებიდან (CATI) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი, ემსახურება სწორედ სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ძირითადი როლის წარმოჩენას, მისი ფუნქციონირების აღწერას. ბიზნეს რეგისტრის მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაციის აღწერას, სხვა ქვეყნების რეგისტრების მსგავსებებისა თუ განსხვავებების აღმოჩენას.

საქართველოს ბიზნეს რეგისტრის დღევანდელი სახის ძირეული შესწავლის, აგრეთვე საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის და მოწინავე ქვეყნების სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრების განხილვის საფუძველზე საშუალება მოგვეცა ზუსტად შეგვეფასებინა საქართველოს სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის დღევანდელი სახე.

ნაშრომში განხილული ბიზნეს რეგისტრის სტრუქტურიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები ბიზნეს რეგისტრის ბაზების ეფექტურობის შესახებ. მნიშვნელოვანია ნაშრომში განხილული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გაანალიზება და მათი აღმოფხვრის გზებზე მუშაობის დაწყება, რადგან გამართული, გაუმჯობესებული ბიზნეს რეგისტრი წინაპირობაა სწორი, ზუსტი, მოქნილი სტატისტიკის წარმოების. სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრს საშუალება ექნება გაზარდოს მისი მოცვა, შესაბამისად, აწარმოოს მეტი სტატისტიკური ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენაშვილი ი., საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგია და მისი სრულყოფის გზები, თბილისი 2010, 256 გვ.
2. გაბიძაშვილი ბ. პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბილისი 2008, 421 გვ.
3. თელია მ. „ბიზნეს რეგისტრი და მისი როლი ქვეყნის სტატისტიკის წარმოებაში“
4. ბიზნეს სტატისტიკის გაანგარიშების ძირითადი მეთოდოლოგია
https://www.geostat.ge/media/13392/BS_Metodologia_GEO.pdf
5. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2009, გვ. 5
6. საქართველოს კანონი საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ; ქალი და კაცი საქართველოში: სტატ. პუბლიკაცია, თბ., 2005
https://www.geostat.ge/media/13389/ECE_CES_39_WEB.pdf
7. საქართველოში TACIS-ის პროგრამით ბიზნეს-რეგისტრის (ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრის) შექმნის ანგარიში, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი -1998, 78 გვ.
8. Business Register – recommendations manual (Eurostat, 2010, p350)
<https://www.geostat.ge/media/13387/business-Registers-Recommendations-manual---2010.pdf>
9. Guidelines for Building Statistical Business Registers in Africa, African Development Bank – Statistics Department, 2014.
10. Guidelines on Statistical Business Registrers (United Nations New York And Geneva,2015, p250)
11. International Standard Industrial Classification of All Economic Activities (ISIC) Revision 4Statistical Paper Series M No.4/Rev4, United Nations (2008)
http://unstats.un.org/unsd/publication/seriesM/seriesm_4rev4e.pdf

12. Manual on Business Demography Statistics

<http://www.oecd.org/std/39974460.pdf>

13. Statistical Units (United Nations, New York October 2007 , p34)

14. Statistics Denmark

<http://www.dst.dk/en/>

15. <http://www.geostat.ge/>

16. http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/statistics/search_database